პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 12 მარტი, 1949 წ. № 49 (8352). ფასი 20 კაპ.

საბჭოთა სახელმწიფოს ბიუჯეტი

გუშინ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე მოსმენილ იქნა ფინანსთა მინისტრის მოხსენება სსრ კავშირის 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

უმაღლესი საბჭოს განსახილველად მთავრობის მიერ წარდგენილი ბიუჯეტი ნათლად ასახავს ჩვენი სახალხო მეურნეობის ომისშემდგომ შესანიშნავ წარმატებებს და იმ გრანდიოზულ ამოცანებს, რომლებიც საბჭოთა ხალხმა უნდა გადაწყვიტოს ომისშემდგომი ხუთწლედის მიმდინარე, მეოთხე წელს.

1948 წელს ჩვენმა სოციალისტურმა მრეწველობამ გეგმა 106 პროცენტით შეასრულა, რითაც წარმოების მოცულობა გაზარდა 27 პროცენტით 1947 წელთან შედარებით და 18 პროცენტით გადააჭარბა ომამდელი 1940 წლის დონეს. დიდი წარმატებებია მიღწეული სოფლის მეურნეობის განვითარებაში. გაიზარდა და გაფართოვდა საქონლეულობა. მნიშვნელოვნად ამაღლდა ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონე. სახალხო მეურნეობის განვითარებისა და მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა 1947 წლის დამლევს განხორციელებულ ფულის რეფორმას, ფასების შემცირებას და საბარათო სისტემის გაუქმებას. ამ ღონისძიებათა შედეგად მშრომელთა რეალური ხელფასი ერთიანად და უფრო მეტად გადიდდა, განმტკიცდა საბჭოთა მანეთი, გაიზარდა მისი მყიდველობითი უნარი. ფასების შემცირების მეორე ეტაპმა, რაც 1949 წლის პირველ მარტს დამთავრდა, უფრო გაუმჯობესა ჩვენი ხალხის კეთილდღეობა.

ამრიგად, საბჭოთა სოციალისტურმა სახელმწიფომ შეძლო მოკლე ვადაში აღმოეფხვრა ომის უარყოფითი შედეგები ფულის მიმოქცევის დარგში. ამ ფაქტით კვლავ დიდი ძალით გამოვლინდა მეურნეობის სოციალისტური სისტემის დიდი უპირატესობა, ის, რომ მეურნეობის სოციალისტური სისტემა ყოველმხრივ უკეთესია კაპიტალისტურ სისტემაზე.

დამახასიათებელი და ღირსშესანიშნავია, რომ ვერც ერთმა კაპიტალისტურმა ქვეყანამ დღემდე ვერ შეძლო დაეძლია ომით გამოწვეული ფულის მიმოქცევის მოშლილობა. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩვენ ვხედავთ ინფლაციას, ეკონომ მოსახლეობის საარსებო დონე, იზრდება უმუშევრობა. მიმოქცევაში გამოშვებული ფულის რაოდენობა ერთიათასად გაიზარდა ომამდელ პერიოდთან შედარებით. მასობრივი მოხმარების საქონლის საცალო ფასები შეუჩერებლად იზრდება, რეალური ხელფასი მცირდება.

უკეთესი მდგომარეობა არც დასავლეთ ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებია. ინგლისში გრძელდება ფულის გაუფასურება. საფრანგეთში, მიუხედავად იმისა, რომ რამდენჯერმე გატარდა ფრანკის დევალაცია, ძლიერდება ინფლაცია.

კაპიტალისტური ქვეყნების საწინააღმდეგოდ, საბჭოთა სახელმწიფოს საფინანსო სისტემის სიტკეცე ცხოვრებამ დაადასტურა. ამის ერთ-ერთ მკაფიო დადასტურებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ გასულ წელს ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალმა 39,6 მილიარდი მანეთით გადააჭარბა გასავალს.

უმაღლესი საბჭოს განსახილველად მთავრობის მიერ წარდგენილი 1949 წლის ბიუჯეტი სავსებით შეესაბამება ომისშემდგომი ხუთწლედის მეოთხე წლის სახალხო-სამეურნეო ამოცანებს.

სსრ კავშირის 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშანია სახალხო შემოსავლის შემდგომი ზრდა. ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი შეადგენს 445 მილიარდ 208 მილიონ მანეთს, რაც 9 პროცენტით აღემატება 1948 წლის ბიუჯეტის შემოსავალს. ბიუჯეტის საგადასავლო ნაწილი განისაზღვრება 415 მილიარდი 355 მილიონი მანეთით, ე. ი. 12,6 პროცენტით მეტია, ვიდრე 1948 წელს.

საგულისხმოა ჩვენი სოციალისტური მრეწველობის მოგების დიდი ზრდის ფაქტი. 1948 წელთან შედარებით ეს ზრდა 77,2 პროცენტს შეადგენს. იგი უზარმაზარ სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებით, საწარმოთა რენტაბელობის ამაღლებით, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ბრუნვის დაჩქარებით. მრეწველობის მოგების ზრდა საშუალებას მოგვცემს გავაფართოოთ კაპიტალური მშენებლობის ხარჯები და საბრუნავი სახსრები საწარმოთა საკუთარი შემოსავლის ხარჯზე. ეს ნათლად მოწმობს ჩვენი ომისშემდგომი ეკონომიკის წარმატებებს, ჩვენი ფინანსების სიმტკიცეს, იმას, რომ საბჭოთა კავშირის მრეწველობა გადაიყვანა ახალ, უფრო მაღალ კლასში, რომ მისი მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლები განუზომლად გაიზარდა.

საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების დიდ უპირატესობას ნათლად ასახავს ბიუჯეტის დაპროექტებული ხარჯებიც. მათ ძირითად ნაწილს შეადგენს სახალხო მეურნეობისა და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დაფინანსების ხარჯები. სახალხო მეურნეობის საქონლეულობისათვის განზრახულია 5 მილიარდ 42 მილიონი მანეთით მეტის, ხოლო სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა საჭიროებისათვის — 13 მილიარდი 605 მილიონი მანეთით მეტის ასიგნება, ვიდრე შარშან.

მნიშვნელოვნად იცვლება სახალხო მეურნეობისათვის საჭირო ხარჯების თვით ხასიათი. თუ წარსულ წლებში ამ ხარჯების გარკვეულ ნაწილს შეადგენდა მრეწველობისა და ტრანსპორტისათვის გათვალისწინებული სახელმწიფო დოტაციები, წელს დოტაციების სისტემა ძირითადად ლიკვიდირებულ უნდა იქნას.

თითქმის ერთნაირად ერიზრდება კაპიტალური მშენებლობის ხარჯები — 1948 წლის 57,2 მილიარდი მანეთიდან 79,8 მილიარდ მანეთამდე. დამახასიათებელია, რომ თუ შარშან საწარმოთა საკუთარი სახსრები კაპიტალური მშენებლობის მთელ დაბანდებათა ერთ მეექვსედ ნაწილზე ცოტათი მეტს შეადგენდენ, ამყამად ისინი ამ დანდებათა თითქმის მესამედს შეადგენენ.

20,5 მილიარდი მანეთიდან 32,7 მილიარდ მანეთამდე იზრდება ასიგნებანი სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის, ამასთან ამ ასიგნებათა ძირითად ნაწილს შეადგენს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ხარჯები. მნიშვნელოვანი დიდდება ასიგნებანი საბინაო შენებლობაზე, განათლებასა და ჯანმრთელობის დაცვაზე, საქონლეურნეობის განვითარებაზე.

საბჭოთა სახელმწიფო განუხრელად და თანმიმდევრულად ახორციელებს მშვიდობისა და ხალხთა თანაშრომლობის პოლიტიკას, მაგრამ ეს პოლიტიკა აწყდება აგრესიორთა გააფთრებულ წინააღმდეგობას, რომლებიც ცდილობენ ახალი ომის გაჩაღებას. საკმარისია თქვას, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში სამხედრო ხარჯები 1938-1939 წლებთან შედარებით თითქმის ხუთმეტჯერ გაიზარდა და მიმდინარე წელს შეადგენს ბიუჯეტის 38 პროცენტს, ხოლო სამხედრო მიზნებისათვის სხვა ასიგნებებთან ერთად — ბიუჯეტის ნახევარზე მეტს. საბჭოთა კავშირში კი, საბითუმო ფასებისა და რკინიგზის ტარიფების გადიდებაც რომ მიეიღოთ მხედველობაში, ასიგნებანი შეიარაღებული ძალების შენახვისათვის შეადგენენ ბიუჯეტის გასავლის მხოლოდ 19 პროცენტს. ეს ასიგნებანი ფუნდადი სახსრებით უზრუნველყოფილ ყველა ხარჯს სახელოვანი საბჭოთა არმიისას, რომელიც ჩვენი ხალხის მშვიდობიანი შრომის სიმშვიდეს დასაყრდენია.

ბიუჯეტის განხორციელება მოთხოვს მეშაობის შემდგომ გაუმჯობესებას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, კერძოდ, მიმდინარე წელს დასახულია მიეაღწიოთ შრომის ნაყოფიერების ზრდას მრეწველობაში 14 პროცენტით და მშენებლობაში 12 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას სულ ცოტა 6 პროცენტით, მრეწველობის მუშაობის ყველა ხარისხობრივი მაჩვენებლის გაუმჯობესებას, სოციალისტური დაგროვების შემდგომ ზრდას. მოსკოვლთა ახალი შესანიშნავი წამოწყება, რომლებმაც დაიწყეს შეაღრიბება სბრუნავი სახსრების ბრუნვის დაჩქარებისათვის, კვლავდაკვლავ ცხადყოფს, თუ რაოდენ დაუშრეტელია ჩვენი ხალხის პატრიოტული ინიციატივა.

დღეს უმაღლესი საბჭო შეუდგება ბიუჯეტის განხილვას. ამ ბიუჯეტს პატრიოტული სიამაყის გრძნობით შეხვდება მთელი საბჭოთა ხალხი, იგი სამსახურს გაუწევს ომისშემდგომი ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის, ჩვენი ხალხის წინაშე დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის მიერ დასახულ ისტორიული ამოცანათა განხორციელებისათვის ბრძოლას.

„პრავდის“ 11/III მოწინავე

საქართველოს სსრ სკოლების მასწავლებელთა დაჯილდოება ორდენებითა და მედლებით

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 2 მარტის ბრძანებულებით წელთა ნამსახურობისათვის და უნაკლო მუშაობისათვის სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია საქართველოს სსრ სკოლების 6.365 მასწავლებელი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია 855 კაცი.

შრომის წითელი დროშის ორდენით — 634 კაცი.

„საპატიო ნიშნის“ ორდენით — 824 კაცი.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 1.520 კაცი.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 2.532 კაცი.

მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მრეწველობის მუშაკებისადმი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ი. ბ. სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძეო!

მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მრეწველობის მუშაკები მხურვალე გულითად სალამს გიძღვნიან თქვენ, ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხალხის დიდ ბელადს, ჩვენს საყვარელ მასწავლებელს, მამასა და მეგობარს!

მოსკოველებმა წარმატებით შეასრულეს ხუთწლედის პირველი სამი წლის პროგრამა და, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ენთუზიაზმით იბრძვიან ჩვენი სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, ახალი შრომითი გამარჯვებების მოპოვებისათვის ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს სასახელოდ.

შარშან მოსკოვის საწარმოთა მუშაკმა აღგითქვეს თქვენ, ამხანაგო სტალინ, რომ ჩვენს ქვეყანას მისცემდნენ 2 მილიარდ მანეთ ზეგეგმითს დაგროვებას. ეს ვალდებულება გადაჭარბებით შესრულდა.

მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის საწარმოთა მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა ოფიციალური აღფრთოვანებითა და შემოქმედებითი აღმავლობით დაიწყეს მუშაობა ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის მეოთხე წელს, და ცდილობენ პირველივე კვირეებიდან და თვეებიდან უზრუნველყონ წლიური გეგმის არა მარტო მთლიანად, არამედ მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულება.

ჩვენ გვახსოვს, რომ საბჭოთა ადამიანები არასოდეს არ კმაყოფილდებიან მიღწეულით და ჩვენს აუცილებელ ვალად მიგვაჩნია მომდინარე წელს მიეაღწიოთ საწარმოთა მთელი ეკონომიური საქმიანობის შემდგომ გაუმჯობესებას. ჩვენ ახალი ენერგიით ვიბრძვით პროდუქციის თვითღირებულების განუხრელი შემცირებისათვის, ახალი ზეგეგმითი სოციალისტური დაგროვების მიღებისათვის.

უკეთ რომ გამოვიყენოთ ქარხნებისა და ფაბრიკების რეზერვები, ჩვენ მიზნად ვისახავთ დავაჩქაროთ სბრუნავი სახსრების ბრუნვა. საწარმოთა მუშაობის ეს მაჩვენებელი თვალსაჩინოდ ასახავს წარმოების კულტურის ზრდას, ტექნიკის, ტექნოლოგიის დონეს, წარმოების ორგანიზაციისა და მართვის ხარისხს, ქარხნებისა და ფაბრიკების გეგმიანი და საფინანსო-ეკონომიური საქმიანობის მდგომარეობას.

ითვალისწინებდნენ რა ამ ამოცანის სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას, მოსკოვის 103 საწარმოს კოლექტივებმა თქვენთვის, ამხანაგო სტალინ, 1949 წლის 26 იანვარს გამოუზავნილ წერილში პირობა დადეს, რომ სბრუნავი სახსრების ბრუნვის დაჩქარებით სახელმწიფოს გუთვალისწინებდნენ 400 მილიონ მანეთს. ამ პატრიოტულ წამოწყებას ფართოდ გამოეხმაურა ოფიციალურია და ოლქის ყველა საწარმო.

ჩვენ შეეკრიბენით თათბირზე სბრუნავი სახსრების ბრუნვის დაჩქარებისათვის განაღებული სოციალისტური შეჯიბრების პირველი გამოცდილების გასაზიარებლად, — გოლდასმით ვიანალიზებთ საწარმოთა შესაძლებლობანი და რეზერვები და მივიღოთ მტკიცე გადაწყვეტილება, რომ 1949 წელს მთლიანად მოსკოვის მრეწველობაში გავათავისუფლათ 1 მილიარდი 300 მილიონი მანეთი.

მოსკოვის მრეწველობა მიმდინარე წელს ბრუნვის დაჩქარებით გაათავისუფლებს 850 მილიონ მანეთ სბრუნავ სახსრებს. მათ შორის:

ბაუმანის რაიონის საწარმოები — 40,0 მილიონ მანეთს

ძერჟინსკის რაიონის საწარმოები — 40,0 მილიონ მანეთს

რკინიგზის რაიონის საწარმოები — 25,0 მილიონ მანეთს

ფრუნზის რაიონის საწარმოები — 60,0 მილიონ მანეთს

კალინინის რაიონის საწარმოები — 32,0 მილიონ მანეთს

კიევის რაიონის საწარმოები — 38,0 მილიონ მანეთს

კიროვის რაიონის საწარმოები — 35,0 მილიონ მანეთს

კომინტერნის რაიონის საწარმოები — 10,5 მილიონ მანეთს

კრასნოგვარდეიცკის რაიონის საწარმოები—18,0 მილიონ მანეთს

კრასნაია პრესნენის რაიონის საწარმოები—27,0 მილიონ მანეთს

კუიბიშევის რაიონის საწარმოები — 8,0 მილიონ მანეთს

ლენინგრადის რაიონის საწარმოები — 60,0 მილიონ მანეთს

ლენინის რაიონის საწარმოები — 40,0 მილიონ მანეთს

მოლოტოვის რაიონის საწარმოები— 25,0 მილიონ მანეთს

მოსკვორეცკის რაიონის საწარმოები — 45,0 მილიონ მანეთს

ოქტომბრის რაიონის საწარმოები — 35,0 მილიონ მანეთს

პერვომაისკის რაიონის საწარმოები — 50,0 მილიონ მანეთს

პროლეტარსკის რაიონის საწარმოები—48,5 მილიონ მანეთს

სვერდლოვის რაიონის საწარმოები — 11,0 მილიონ მანეთს

საბჭოს რაიონის საწარმოები — 18,0 მილიონ მანეთს

სოკოლნიკის რაიონის საწარმოები— 28,0 მილიონ მანეთს

სტალინის რაიონის საწარმოები — 67,0 მილიონ მანეთს

ტიმირიაზევის რაიონის საწარმოები — 19,0 მილიონ მანეთს

ფრუნზეს რაიონის საწარმოები — 40,0 მილიონ მანეთს

შჩერბაკოვის რაიონის საწარმოები— 30,0 მილიონ მანეთს

მოსკოვის ოლქის მრეწველობა წელს სბრუნავი სახსრების ბრუნვის დაჩქარებით გაათავისუფლებს სულ ცოტა 450 მილიონ მანეთს. მათ შორის:

ბალაშიხის რაიონის მრეწველობა — 16 მილიონ მანეთს

დონსკოის რაიონის მრეწველობა — 11 მილიონ მანეთს

კოლომნის რაიონის მრეწველობა — 24 მილიონ მანეთს

კუნცევოს რაიონის მრეწველობა — 21,5 მილიონ მანეთს

ლენინის რაიონის მრეწველობა — 10 მილიონ მანეთს

მიტიშჩის რაიონის მრეწველობა — 30 მილიონ მანეთს

ნოგინსკის რაიონის მრეწველობა — 18,5 მილიონ მანეთს

ორეხოვო-ზუევოს რაიონის მრეწველობა—21,7 მილიონ მანეთს

პავლოვსკი პოსადის რაიონის მრეწველობა—11 მილიონ მანეთს

პოდოლსკის რაიონის მრეწველობა — 28 მილიონ მანეთს

ქალაქ ბერეროვოს მრეწველობა — 14 მილიონ მანეთს

სტალინოგორსკის რაიონის მრეწველობა — 18 მილიონ მანეთს

სტუპინის რაიონის მრეწველობა — 16 მილიონ მანეთს

სერპუხოვის რაიონის მრეწველობა — 15 მილიონ მანეთს

ქალაქ ტუშინოს მრეწველობა — 22,6 მილიონ მანეთს

უხტომსკის რაიონის მრეწველობა — 28 მილიონ მანეთს

შჩელკოვოს რაიონის მრეწველობა— 18,9 მილიონ მანეთს

ქალაქ ელექტროსტალს მრეწველობა—65,7 მილიონ მანეთს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძეო! იმისათვის, რომ ეს ვალდებულებანი ღირსეულად შეასრულოთ, ჩვენ ვისახავთ შემდეგ კონკრეტულ ამოცანებს:

დავაჩქაროთ სბრუნავი სახსრების ბრუნვა წარმოების პროცესში. ამისათვის ჩვენ უფრო მეტი სიმტკიცით ვიბრძოლებთ საწარმოო ციკლის შემცირებისათვის ნაკადური მეთოდების დანერგვის, ტექნოლოგიის გაუმჯობესების გზით. გაბედულად დავნერგავთ მოწყობილობის მუშაობის ჩქარ რეჟიმებს, ვიბრძოლებთ შრომატევადი სამუშაოების შემდგომი მექანიზაციისათვის. ეს საშუალებას მოგვცემს დავაჩქაროთ პროდუქციის დამზადების პროცესი და შევამცეროთ სბრუნავი სახსრები დაუძთავრებელ წარმოებაში.

ჩვენ მტკიცედ ვიბრძოლებთ ნედლეულის მარგის, მასალების, ნახევრების დაწესებული ნორმატივების დაცვისათვის. სანიშნეში წესრიგს დავამყარებთ საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში, მოვაწესრიგებთ სასაწყობო მეურნეობას. ამ გზით ჩვენ მივაღწევთ ზენორმატივიანი მარგის ლიკვიდაციას და გავათავისუფლებთ მათში დაბანდებული საწარმოო საბრუნავი სახსრების ნაწილს.

თვითღირებულების ზეგეგმითი შემცირება საშუალებას მოგვცემს გავადიდოთ პროდუქციის გამოშვება სბრუნავი სახსრების თვითეულ მანეთზე. მტკიცედ ვიბრძოლებთ ნედლეულის, სათბობის, მასალების, ინსტრუმენტების უმაკცრესი ეკონომიისათვის. უფრო მეტი ენერგიით დავნერგავთ სამეურნეო ანგარიშს სამაჭროებსა და უბნებში, აღვზრდით ყველა მუშასა და მოსამსახურეს სოციალისტური ყაირათიანობის სულისკვეთებით.

დავაჩქაროთ სბრუნავი სახსრების ბრუნვა მზა პროდუქციის რეალიზაციის პროცესში. ამისათვის ჩვენ ვიბრძოლებთ, რომ უფრო სწრაფად და ზუსტად გავუგზავნოთ მომხმარებლებს დამზადებული ნაკეთობა და საქონელი, რათა ისინი არც ერთ ზედმეტ დღეს არ დაჩჩენენ საწარმოთა საწყობებში. ამით ჩვენ თავიდან ავიცილებთ მზა პროდუქციაში სბრუნავი სახსრების გაყინვას და გავაუმჯობესებთ მომიჯნავე საწარმოთა მუშაობას, აგრეთვე დავაჩქარებთ საქონელბრუნვას.

ამ ამოცანების შესასრულებლად მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის თვითეულ საწარმოში, მუშების, ინჟინრების, ტექნიკოსებისა და მოსამსახურეების ფართო მასების მონაწილეობით, მუშავდება მომქმედების კონკრეტული გეგმა.

ჩვენ მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ ღირსეულად გავართმევთ თავს ნაკისრ ვალდებულებებს. ეს რწმენა ემყარება უდიდეს შრომითს აღმავლობას, საყოველთაო პატრიოტულ აღფრთოვანებას, რომელმაც მოიცვა მოსკოვის მრეწველობის ყველა მუშაკი ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში.

ჩვენ ვიღებთ ახალ გადიდებულ ვალდებულებებს სბრუნავი სახსრების ბრუნვის დასაჩქარებლად და სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწევთ უკრაინის, ლენინგრადისა და ურალის მრეწველობის მუშაკებს, რომლებსაც შარშან წარმატებით ვეჯიბრებოდით პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის, აგრეთვე ცენტრალური სამრეწველო რაიონის, ვოლგისპირეთისა და ციმბირის მრეწველობის მუშაკებს.

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძეო!

მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მშრომელები თავიანთი დიადი სამშობლოთი უდიდესი სიამაყის გრძნობით შეხვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას „1949 წლის 1 მარტიდან მასობრივი მოხმარების საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალი შემცირების შესახებ“. ისევე, როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, მოსკოველები აღსავსენი არიან დიდი მადლობის გრძნობით ჩვენ მამაბრივი ხელმძღვანელისადმი, ამხანაგო სტალინ, თქვენი მამობრივი ზრუნვისათვის საბჭოთა ადამიანებისადმი.

ამ ზრუნვის საპასუხოდ ჩვენ პირობას გაძლევთ, ამხანაგო სტალინ, რომ ძალისა და ენერგიას არ დავიშურებთ ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში.

სულით და გულით გისურვებთ ჩვენი საყვარელი ბელადო, ჩვენო ძვირფასო მასწავლებელო და მეგობარო მრავალ და მრავალ წელს სიცოცხლეს საბჭოთა ხალხისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიად პარტიას — საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებათა ორგანიზატორს!

გაუმარჯოს ბოლშევიკური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს — კომენზომის მშენებლობის შტაბს!

გაუმარჯოს ჩვენს დიდ ბელადსა და მასწავლებელს, მშობლიურ და საყვარელ ამხანაგ სტალინს!

მიღებულია ერთსულოვნად მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მრეწველობის მუშაკთა თათბირზე 1949 წლის 5 მარტს.

საინფორმაციო ცნობა

კავშირის საბჭოს 1949 წლის 11 მარტის სხდომის შესახებ

11 მარტს, საღამოს 6 საათზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში, კრემლში, შედგა კავშირის საბჭოს სხდომა.

თავმჯდომარეობს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ი. ა. პარფენოვი.**

კავშირის საბჭომ მოისმინა კავშირის საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ **ლ. რ. კორნიეცის** თანამოხსენება.

კავშირის საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თანამოხსენების შემდეგ დაიწყო კამათი დღის წესრიგის პირველი პუნქტის გამო. კამათში მონაწილეობა მიიღეს: დეპუტატმა **ა. ე. კლეშჩენმა** (პინსკის ოლქი, ბელორუსიის სსრ), დეპუტატმა **ი. ი. პალეცკისმა** (პანევეჟისის ოლქი, ლიტვის სსრ), დეპუტატმა **ვ. გ. ყაგორონკოვმა** (კუბიშევის ოლქის ჩაპაევსკის საარჩევნო ოლქი), დეპუტატმა **ტ. ი. შუვალოვმა** (ივანოვოს ოლქის ივანოვოს საქალაქო საარჩევნო ოლქი), დეპუტატმა **ა. ტ. ვეიმერმა** (რაკვერეს ოლქი, ესტონეთის სსრ), დეპუტატმა **დ. ს. კოროტჩენკომ** (ამურ—ნიეინ-დნეპროვსკის ოლქი, უკრაინის სსრ), დეპუტატმა **ნ. ა. სკვორცოვმა** (უზბეკეთის სსრ ტაშკენტის სასოფლო საარჩევნო ოლქი), დეპუტატმა **ნ. ი. ბელიაევმა** (ალტაის მხარის ბარნაულის საქალაქო საარჩევნო ოლქი), დეპუტატმა **ს. კ. კარაპეტიანმა** (ნორ-ბაიაზეთის ოლქი, სომხეთის სსრ).

ამით კავშირის საბჭოს მეორე სხდომა იხურება.

საინფორმაციო ცნობა

ეროვნებათა საბჭოს 1949 წლის 11 მარტის სხდომის შესახებ

11 მარტს, დილის 11 საათზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში, კრემლში, შედგა ეროვნებათა საბჭოს სხდომა.

თავმჯდომარეობს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ვ. ვ. კუზნეცოვი.**

ეროვნებათა საბჭომ მოისმინა ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ **ი. ს. ხოხლოვის** თანამოხსენება.

ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თანამოხსენების შემდეგ დაიწყო კამათი დღის წესრიგის პირველი პუნქტის გამო. კამათში მონაწილეობა მიიღეს: დეპუტატმა **ვ. ტ. ლაცისმა** (კიროვის ოლქი, ლატვიის სსრ), დეპუტატმა **ა. აბდურახმანოვმა** (ფერგანის ოლქი, უზბეკეთის სსრ), დეპუტატმა **მ. სამედოვმა** (მასალის ოლქი, აზერბაიჯანის სსრ), დეპუტატმა **ზ. ა. ანდრეევამ** (ჩიბინსკის ოლქი, ჩუვაშეთის ასსრ), დეპუტატმა **ვ. პ. ზოტოვმა** (ერასნოდარის ოლქი, რსფსრ), დეპუტატმა **მ. პ. კაუნატემ** (თრაკიის ოლქი, ლიტვის სსრ), დეპუტატმა **გ. ი. რუდმა** (დროკიის ოლქი, მოლდავეთის სსრ), დეპუტატმა **ზ. ა. შაშკოვმა** (ალტაის ოლქი, ჩუვაშეთის ასსრ), დეპუტატმა **ი. ი. ტურიანიცამ** (უკგოროდის ოლქი, უკრაინის სსრ), დეპუტატმა **ტ. კულატოვმა** (უზგენის ოლქი, ყირგიზეთის სსრ).

ამით ეროვნებათა საბჭოს მეორე სხდომა იხურება.

თბილისის მრეწველობის 1949 წლის თებერვლის მუშაობის შედეგები

შეჯამებულია თბილისის მრეწველობის 1949 წლის თებერვლის მუშაობის შედეგები.

საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა ქალაქის მრეწველობამ შეასრულა 106,2 პროცენტით, სარეწაო კოოპერაციის არტელებმა — 106,5 პროცენტით და ინვალიდთა კოოპერაციის არტელებმა—104 პროცენტით.

საქართველოს სსრ სამინისტროების თბილისის საწარმოებმა თებერვლის გეგმა შეასრულეს: ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა — 197,8 პროცენტით, კვების მრეწველობისა — 112,3 პროცენტით, საავტომობილო ტრანსპორტისა—104 პროცენტით, ადგილობრივი მრეწველობისა — 103,8 პროცენტით, მსუბუქი მრეწველობისა — 103 პროცენტით.

თვიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს საკავშირო დაქვემდებარების, პოლიგრაფიული მრეწველობის, საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების საწარმოებმა.

გასული წლის შესაბამისი პერიოდის წარმოების დონეს მნიშვნელოვნად გადააჭარბეს და 1949 წლის იანვარ-თებერვლის გეგმა წარმატებით შეასრულეს დაზგათმშენებელმა ქარხნებმა — კიროვის სახელობისამ, „დაზგამ“ და სამსხმელო-მექანიკურმა, ავტოსარემონტო ქარხნამ, სართავ-სატრაკტორო კომბინატმა, კამეოლ-მაუდიის და ჩაისსაწონმა ფაბრიკებმა და სხვა საწარმოებმა.

ჩამორჩნენ: საგალანტერეო, სასარეველო-საუნაგირო, კინოფილმების პირგადამღები ფაბრიკები, ფარმაცევტიკური ქარხანა და მთელი რიგი სხვა საწარმოები.

ქალაქის საწარმოებში ჩაღდება საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება. ფაბრიკა-ქარხნების კოლექტივები, ბევრი მუშა, ბრიგადა, საამქრო კონკრეტულ საწარმოო ვალდებულებებს კისრულობენ პროდუქციის გამოშვების გეგმების ვადამდე შესრულებისათვის, სბრუნავი სახსრების უკეთ გამოყენებისათვის, შრომის ნაყოფიერების ახალი გადიდებისათვის.

„კავთურჩესი“ ამუშავდა

ქასპი. (საკ. კორ.). სოფელ წინარეხში დამთავრდა და ექსპლოატაციაში შევიდა „კავთურჩესი“. ელექტროსინთეზე მიიღო ხუთმა სოფელმა: გარდა ამისა, მცირეძალიანი ელსადგურების მშენებლობა დაიწყო სოფლებში თვალაღსა და გუდალეთში.

ხეხიღის მიჩურინეული ჯიშები მაღალმთიან ზონაში

სტალინირი. (საკ. კორ.). სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ინიციატივით რვა წლის წინათ აქ ჩამოიტანეს ვაშლისა და მსლის მიჩურინეული ჯიშები ბუნების დიდი გარდამქმნელის ი. ვ. მიჩურინის სამშობლოდან ქალაქ მიჩურინსკიდან.

ეს ჯიშები საცდელად გაშენებულ იქნა ჯავის რაიონის სოფლებში ერმაანში, კროზასა, ვანელსა, ედისსა, ხამში, ქვეთ და ზემო ზღვირეებში, შუა და ზემო როკოში, აგრეთვე სოფელ ბრიტათში, რომელიც ზღვის დონიდან 2.000 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს.

ვაშლის მიჩურინეული ჯიშები საუკეთესოდ შეეგუენ მთის მკაცრ პირობებს და კარგ ნაყოფს იძლევიან.

ქალაქ სტალინირში არსებობს საქართველოს სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სანერგე. აქ გასული წლიდან შეუდგენენ ხეხილის მიჩურინეული ჯიშების გამოყვანას მაღალმთიანი ზონისათვის.

ЗАКАВКАЗСКОЕ ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО — ТБИЛИСИ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომა

სსრ კავშირის 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და სსრ კავშირის 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ

ფინანსთა მინისტრის დეპუტატ ა. გ. ზვეგინცევის მოხსენება

I. 1947 წლის ბიუჯეტის შესრულების შედეგები და წინასწარი ცნობები სსრ კავშირის 1948 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ

ამხანაგო დეპუტატებო! სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად ადგენს სსრ კავშირის 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს და 1947 წლის ბიუჯეტის შესრულების შედეგებს.

საბჭოთა სახელმწიფოს ბიუჯეტი 1947 და 1948 წლებში სრულდებოდა საბჭოთა ხალხის განსაკურთებულმა შრომითმა აღფრთოვანებამ უწრუბველყვეს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურის სწრაფი აყვავება და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ზრდა. ამას მკაფიოდ მოწმობენ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1948 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგები.

შესანიშნავი წარმატებანი მოიპოვა სოციალისტურმა მრეწველობამ, რომელიც 1948 წელს გაეცალებით უფრო ჩქარა ვითარდებოდა, ვიდრე წინა ომისშემდგომ წლებში. მრეწველობის საერთო პროდუქციის გაზრდაშეების გეგმა 1948 წელს შესრულებულია 106 პროცენტით, ხოლო ხუთწლედის პირველი სამი წლის გეგმა—103 პროცენტით. წარმოების მოცულობა 1947 წელთან შედარებით 27 პროცენტით გადიდდა.

თუ როგორ დიდია ჩვენი მრეწველობის განვითარების ტემპი, იქიდან ჩანს, რომ მრეწველობის საერთო პროდუქციამ 1948 წელს 118 პროცენტი შეადგინა ომამდელი 1940 წლის დონესთან შედარებით. რკინიგზების ტვირთბრუნვა 1948 წელს 27 პროცენტით გადიდდა და აგრეთვე გადაჭარბა ომამდელ დონეს.

პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებულ ღონისძიებათა მეოხებით გასულ წელს მნიშვნელოვნად გაუძჯობესდა მრეწველობის მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლები. ჩვენი სამეურნეო ხელმძღვანელები მეტ ყურადღებას აქცევენ ფინანსების, ფასების, მომჭირნეობას წარმოებაში, ზედმეტი ხარჯების აღმოფხვრას მშენებლობაში, მომიქცევის ხარჯების შემცირებას. მუშათა შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში ერთი წლის მანძილზე 15 პროცენტით გადიდდა და გადაჭარბა ომამდელ დონეს. შესადარი სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულება 8,8 პროცენტით შემცირდა. მოსკოვის საწარმოთა პარტიული ორგანიზაციებისა და მშრომელების თაოსნობით დაწყებულმა ახალმა პატრიოტულმა მოძრაობამ მაღალრენტაბელური მუშაობისა და ზეგეგმით დაგროვებისათვის უკვე 1948 წელს შესანიშნავი შედეგები მოგვცა. სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მიღებული ზეგეგმითი ეკონომიის საერთო თანხა 1948 წელს 6 მილიარდზე მეტ მანეთს შეადგენს.

ბევრია საწარმოს ზეგეგმითი დაგროვებისათვის ბრძოლით გაუძჯობესა მოწყობილობის გამოყენება, შეამცირა ნედლეულის, საწვავის, მასალის, ელექტროენერგიის ხარჯვის ნორმები და უნაყოფო ხარჯები.

შარშან კაპიტალდაბანდებათა გეგმა მნიშვნელოვნად უკეთ შესრულდა, ვიდრე 1947 წელს. კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა 1948 წელს 23 პროცენტით გადიდდა 1947 წელთან შედარებით და ერთნახევარჯერ და მეტად გადაჭარბა ომამდელ დონეს. მთავრობის მითითებით დიდი მუშაობა შესრულდა ბევრ მშენებლობასა და ობიექტზე ფულადი და მატერიალური რესურსების დაჩაქსვის აღმოსაფხვრელად. 1948 წელს ეს რესურსები მეტწილად თავმოყრილი იყო უმნიშვნელოვანეს ასამუშავებელ მშენებლობებზე.

გასული წელი აღინიშნა აგრეთვე დიდი წარმატებებით სოფლის მეურნეობაში. ასრულებდნენ რა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მარცვლეულისა და ტექნიკური კულტურების უხვი მოსავალი მოიყვანეს. მარცვლეული კულტურების საერთო მოსავალმა მთლიანად სსრ კავშირში, მიუხედავად გვალვისა ვოლგისპირეთის მეტწილ რაიონებში, 7 მილიარდ ფუთზე მეტი შეადგინა და, მაშასადამე, თითქმის მიაღწია ომამდელ დონეს, ხოლო მარცვლეული კულტურების საშუალო სავექტორო მოსავლიანობამ 1940 წლის დონეს გადაჭარბა.

მრეწველობის, სოფლის მეურნეობის განუხრელი ზრდის, ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდების საფუძველზე გადიდდა საცალო საქონელბრუნვა. მოსახლეობას გაცილებით მეტი სარეწველო და სასურსათო საქონელი მიეყიდა, ვიდრე 1947 წელს.

სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა 1947 წლის ბოლოს გატარებულ ფულის რეფორმას და საბარათო სისტემის გაუქმებას. ფულის რეფორმის შედეგად მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობა შეფარდებულია სამეურნეო ბრუნვის მოთხოვნილებებთან. გადიდდა ფულის როლი სახალხო მეურნეობაში. გაძლიერდა მანეთით კონტროლი საქონლის წარმოებისა და მიმოქცევისადმი. ფულის რეფორმის გატარებამ გააძლიერა შრომის ნაყოფიერების ზრდის მატერიალური სტიმული, ხელი შეუწყო სამეურნეო ანგარიშის, მომჭირნეობის რეჟიმის შემდგომ განმტკიცებას და მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასის, აგრეთვე კოლმეურნეთა შემოსავლის გადიდებას.

ჩვენს ქვეყანაში აღდგენილია სრულფასოვანი საბჭოთა მანეთი, გაჩაღებულია თავისუფალი ვაჭრობა ერთიანი, შემცირებული საცალო სახელმწიფო ფასებით.

1949 წლის 28 თებერვალს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მასობრივი მოხმარების საქონლის საცალო ფასების ახალი შემცირების შესახებ. პარტიისა და მთავრობის ეს გადაწყვეტილება წარმოადგენს ადამიანებისათვის სტალინური მზრუნველობის მკაფიო გამოვლინებას და სოციალისტური ეკონომიკის განუხრელი ზრდის ახალ შესანიშნავ დადასტურებას.

როგორც ცნობილია, მასობრივი მოხმარების საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების შემცირებით, რაც საბარათო სისტემის გაუქმებისას განხორციელდა, მშრომელებმა ერთი წლის განმავლობაში მიიგეს სულ მცირე 57 მილიარდი მანეთი. ეს თანხა სახელმწიფო ბიუჯეტისათვის წარმოადგენდა წმინდა ზარალს, რომელიც დაფარულ იქნა შრომის ნაყოფიერების ზრდის, მასობრივი მოხმარების საქონლის წარმოების გადიდების და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების მეოხებით.

სახელმწიფო საცალო ფასების შემცირებამ გამოიწვია საკოლმეურნეო და კოოპერაციულ ბაზარზე საქონლის ფასების ასეთივე შემცირება, რამაც ეს საქონელი ერთი წლის განმავლობაში სულ მცირე 29 მილიარდი მანეთით გააიაფა. გამოდის, რომ საცალო ფასების შემცირებით პირველ ეტაპზე ვაჭრობის ყველა სექტორში მოსახლეობამ 86 მილიარდამდე მანეთი მოიგო.

„ეს იმას ნიშნავს, — როგორც აღნიშნულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1949 წლის 28 თებერვლის დადგენილებაში, — რომ პირველ ეტაპზე ფასების შემცირების შედეგად მნიშვნელოვნად გადიდდა მანეთის მყიდველობითი უნარი, გაუმჯობესდა მანეთის კურსი უცხოეთის ვალუტების კურსთან შედარებით, სულ სერიოზულად გადიდდა მუშაობისა და ინტელიგენციის რეალური ხელფასი და კვლავ მნიშვნელოვნად შეიკვეცა ხელფასი და კვლავ მნიშვნელოვნად შეიკვეცა ხარჯი სამრეწველო საქონლის საყიდლად.

მეორე ეტაპზე გატარებულ ფასების შემცირებას უდიდესი ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. პარტიისა და მთავრობის დადგენილებას საბჭოთა ხალხი დიდი აღფრთოვანებით შეხვდა. მან გამოიწვია ხალხთა მასების შრომითი აქტიურობის ახალი აღმავლობა სოციალისტური სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში.

მთელი ეს წარმატებანი სოციალისტური მეურნეობის განვითარებაში, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისაში საბჭოთა ხალხმა მოიპოვა ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის თავდადებული ბრძოლით. მთელ ჩვენს გამარჯვებებს დიდ საომართთა ომისშემდგომი გეგმის განხორციელებისათვის ბრძოლაში უნდა ეუმადლოდეთ ჩვენი ბოლშევიკური პარტიის ბრძნულ ხელმძღვანელობას, ჩვენს დიდ ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს! (**მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველა ფეხზე დგება**).

იმ დროს, როცა საბჭოთა კავშირში მოკლე ვადაში ლიკვიდირებულია ომის შედეგები ფულის მიმოქცევის დარგში, აღდგენილია სრულფასოვანი მანეთი, უმჯობესდება მშრომელთა კეთილდღეობა, დიდდება მანეთის კურსი უცხოეთის ვალუტებთან შედარებით, კაპიტალისტურ ქვეყნებში გრძელდება ინფლაცია, მატულობს უმუშევრობა, დიდდება ფართო მოხმარების საქონლის ფასები.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებში გატარებულ ფულის რეფორმამ თან ახლდა მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის რეალური დონის შემცირება, ვლეხობის შემდგომი გაღატაკება და საფინანსო მაგნატების გამდიდრება.

ამერიკის შეერთებულ შტატებში გრძელდება ინფლაცია, ეცემა ფართო მასების საარსებო დონე, მატულობს უმუშევრობა. მიმოქცევაში გამოშვებული ფულის რაოდენობა თითქმის 4-ჯერ გადიდდა ომამდელ დროსთან შედარებით.

ამერიკის შეერთებულ შტატებში განსაკუთრებით ძლიერ გადიდდა ფართო მოხმარების საქონლის ფასები. ხელფასი მკვეთრად ჩამორჩება ფასების ზრდას, რაც ნიშნავს მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის მნიშვნელოვან გაუარესებას. ამერიკელ მუშათა რეალური ხელფასის შემცირება ხდება მონოპოლისტთა მოგების უდიდესი ზრდის პირობებში. ეს მოგება 1947 წელს შეადგენდა 30 მილიარდამდე დოლარს და 1939 წელთან შედარებით 4,5-ჯერ გადიდდა. 1948 წელს ეს მოგება უფრო გადიდდა. ამერიკის შეერთებულ შტატებში ინფლაციის მთავარი მიზეზია სამხედრო ხარჯების უდიდესი ზრდა, რასაც იწვევს აგრესიის პოლიტიკა, ახალი ომის გაჩაღების პოლიტიკა, რომელსაც ახორციელებენ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები, რომლებიც მსოფლიო ბატონობას ესწრაფვიან.

ინგლისშიც გრძელდება ფულის გაუფასურების პროცესი, რაც უფრო აუარესებს მშრომელთა მასების მატერიალურ მდგომარეობას.

უარესი მდგომარეობაა საფრანგეთში, სადაც, მიუხედავად იმისა, რომ რამდენჯერმე გატარდა ფრანკის დევალვაცია, გაძლიერდა ინფლაცია, სულ უფრო მცირდება მუშათა კლასის ცხოვრების მატერიალური დონე. და ამავე დროს უდიდესი ოდენობით იზრდება მონოპოლიების ზემოგება.

ვერც ერთმა კაპიტალისტურმა ქვეყანამ დღემდე ვერ შეძლო გადაელახა ფულის მიმოქცევის მოშლა, რაც გამოწვეულია ომით. ინფლაცია, რომელიც გრძელდება, აღრმავებს კაპიტალისტური სამყაროს ფულის სისტემის მოშლას და იწვევს მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის ცხოვრების დონის უფრო შემცირებას.

საბჭოთა ფულის რეფორმა, რომელმაც აღმოფხვრა ომის უარყოფითი შედეგები ფულის მიმოქცევის დარგში, გატარდა ხალხის სასარგებლოდ და ითვალისწინებდა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას. რეფორმამ და მასობრივი მოხმარების საქონლის ფასების მნიშვნელოვანმა შემცირებამ განაცვიფრა საბჭოთა ფულის სისტემა და ჩვენი ფინანსები უფრო ძლავრი იარაღი გახადეს სოციალისტური სახელმწიფოს ხელში.

სამეურნეო წარმატებათა საფუძველზე სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილი 1947 წლის 386,2 მილიარდი მანეთიდან 1948 წელს გადიდდა 408,4 მილიარდ მანეთამდე, ე. ი. გაიზარდა 22,2 მილიარდი მანეთით. გადიდდა აგრეთვე ბიუჯეტის გასავლის ნაწილი 1947 წლის 361,5 მილიარდი მანეთიდან 368,8 მილიარდ მანეთამდე 1948 წელს. შემოსავლის გადაჭარბებამ გასავლზე 1948 წელს 39,6 მილიარდ მანეთს მიაღწია. ეს სახსრები მოხმარდა სახალხო მეურნეობაში კრედიტების დაბანდების გადიდებას, რამაც ხელი შეუწყო საბჭოთა მანეთის შემდგომ განმტკიცებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ბიუჯეტის ფაქტიური შემოსავალი შარშან 20,7 მილიარდი მანეთით ნაკლები იყო დამტკიცებულ თანხებზე. ეს მეტწილად იახსნება ფართო მოხმარების საქონლის ფასების დამატებითი შემცირებით, რაც 1948 წელს გატარდა.

ბიუჯეტის გასავლის 19,2 მილიარდი მანეთით შემცირება დამტკიცებულ თანხებთან შედარებით მოხდა მთავრობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მრეწველობის ზოგიერთი დარგისათვის სახელმწიფო დოტაციის შემცირებით და სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის სახსრების ხარჯვის მოწესრიგებით.

სოციალისტური საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან შემოსულმა თანხებმა შეადგინეს 1948 წელს ბიუჯეტის შემოსავლის გადაწყვეტილ ნაწილი. ბრუნვის გადასახადისა და მოგების ანარიცხებიდან გასულ წელს ბიუჯეტში შემოვიდა 273,9 მილიარდი მანეთი ანუ ბიუჯეტის მთელი შემოსავლის 67,1 პროცენტი.

სამრეწველო საწარმოთა რენტაბელობის გადიდებამ კეთილმყოფელი გავლენა მოახდინა მოგების ანარიცხებით ბიუჯეტის შემოსავლის ზრდაზე. წინასწარი ცნობებით, მოგების ანარიცხებიდან ბიუჯეტში შემოვიდა 2,6 მილიარდი მანეთით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული.

მოსახლეობის გადასახადებისაგან შემოსული თანხა 1948 წელს შეადგენდა 33,2 მილიარდ მანეთს. მოსახლეობაში რეალიზებული სახელმწიფო სესხებიდან შემოვიდა 22,3 მილიარდი მანეთი, ანუ დაპტკიცებულ თანხაზე 1,9 მილიარდი მანეთით მეტი.

სახელმწიფო ბიუჯეტის გასავლში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავიათ სახალხო მეურნეობისა და ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლების დასაფინანსებელ ასიგნებებს.

სახალხო მეურნეობის დაფინანსება 1948 წელს შეადგენდა 147,5 მილიარდ მანეთს ანუ ბიუჯეტის მთელი გასავლის 40 პროცენტს, რაც 14,4 მილიარდი მანეთით აღემატებოდა 1947 წლის შესაბამის გასავლს.

სახალხო მეურნეობის 1948 წლის გეგმის შესაბამისად მრეწველობის დასაფინანსებლად დახარჯული იყო 94,1 მილიარდი მანეთი, სოფლის მეურნეობისა—20,5 მილიარდი მანეთი, ტრანსპორტის და კავშირგაბმულობისა — 14,3 მილიარდი მანეთი, სახელმწიფო ვაჭრობისა და დამზადებათა — 4,1 მილიარდი მანეთი.

დიდი ასიგნებანი განკუთვნილი იყო კაპიტალური მშენებლობისათვის. ამ მიზნისათვის გაწეული საერთო ხარჯიდან—66,2 მილიარდი მანეთიდან ბიუჯეტით გაცემული იყო 57,2 მილიარდი მანეთი, ე. ი. 12,7 მილიარდი მანეთით მეტი, ვიდრე 1947 წელს.

სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე 1948 წელს დაიხარჯა 105,6 მილიარდი მანეთი ანუ ბიუჯეტის მთელი გასავლის 28,6 პროცენტი.

შეიარაღებული ძალების ხარჯები 1948 წელს შეადგენდა 66,3 მილიარდ მანეთს.

სახელმწიფო აპარატის შესანახავად შარშან დაიხარჯა 13,1 მილიარდი მანეთი, ე. ი. ეს ხარჯები 1947 წლის დონეზე იყო.

ასეთია 1947 და 1948 წლების ბიუჯეტის შესრულების ძირითადი შედეგები.

II. სსრ კავშირის 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

ამხანაგო დეპუტატებო! სსრ კავშირის 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი, რაც წარმოდგენილია თქვენს განსახილველად და დასამტკიცებლად, შედგენილია სახალხო-სამეურნეო ამოცანების შესაბამისად, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ დასახეს ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის მეოთხე წელს.

1949 წელს ჩვენ უნდა უზრუნველყოთ მეურნეობის ყველა დარგის განვითარების მაღალი ტემპი და მნიშვნელოვნად გადავაჭარბოთ 1948 წლის დონეს მრეწველობის საერთო პროდუქციის წარმოებაში. ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრაზეა დამოკიდებული ხუთწლიანი გეგმის ამოცანების ვადამდე, მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება.

დიდი ამოცანები უნდა გადავჭრათ სოფლის მეურნეობის დარგშიც. წელს გათვალისწინებულია მოსავლიანობის შემდგომი გადიდება, ნათესი ფართობების ზრდა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის ყოველმხრივი განვითარება კოლმეურნეობებში. მიმდინარე წელს დიდი ყურადღება ექცევა ტექნიკური კულტურებისა და, განსაკუთრებით, მებამბეობის განვითარებას.

ჩვენი ქვეყანა შეუდგა ამხანაგ სტალინის თაოსნობით მიღებულ პარტიისა და მთავრობის ისტორიული გადაწყვეტილების შესრულებას „სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ველიან და ტყე-ველიან რაიონებში ფაფარ მოსავლის უზრუნველსაყოფად მინდორსაცავი ტყის ნარგავების, ნაფესვლალოსანი თესლბრუნვის დანერგვის, გუბურებისა და წყალსატევების მშენებლობის გეგმის შესახებ“.

გვალვის წინააღმდეგ შეტევის ამ ფართოდ დასახული გეგმის განხორციელება შესაძლებლობას მოგვცემს უახლოესი წლების განმავლობაში გაეკეთოთ ნახტომი მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის განვითარებაში. ჩვენი სოფლის მეურნეობა შედის თავისი განვითარების ახალ ეტაპში, როცა უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სოფლის მეურნეობის დამოუკიდებლობა ცალკეშიდი კლიმატიკური პირობებისაგან და ყველგან გარანტირებულ იქნას უხვი და მყარი მოსავალი.

1949 წელს, აღნიშნული გეგმის შესაბამისად, დიდი საძუშაოები შესრულდება და ამ მიზნისათვის განზრახულია დაიხარჯოს სახელმწიფო და საკოლმეურნეო სახსრები 1 მილიარდ მანეთზე მეტი რაოდენობით.

კოლმეურნეობათა შემდგომი საორგანიზაციო-სამეურნეო განმტკიცების, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის დარგების სწორად შეხამებისა და კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი სიმდიდრის გადიდების საფუძველზე უფრო გაიზრდება ჩვენი კოლმეურნე გლეხობის შეძლებულობა.

სოციალისტური მშენებლობის წარმატებანი ქმნიან ყველა საჭირო პირობას სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის ზრდისათვის.

სსრ კავშირის სახალხო შემოსავალი 1949 წელს მნიშვნელოვნად გაიზრდება შარშანდელთან შედარებით. წელს მკვეთრად დიდდება სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის მოცულობა. 1949 წელს, მასობრივი მოხმარების საქონლის ფასების ახალ შემცირებასთან დაკავშირებით, იქმნება უფრო მეტი შესაძლებლობა მანეთის მყიდველობითი ძალის შემდგომი გადიდებისა და მშრომელთა რეალური შემოსავლის ზრდისათვის.

მიმდინარე წლის პირველი თვეები აღინიშნა მრეწველობაში, ტრანსპორტზე და სოფლის მეურნეობაში ფართოდ გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრებით. ჩვენი ქვეყნის მშრომელები ამხანაგ სტალინისათვის გაგზავნილი წერილებით კისრულობენ დამატებით ვალდებულებას — გამოუშვან დიდძალი ზეგეგმითი პროდუქცია. საბჭოთა ხალხი უდიდესი ენერგიით შრომობს ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ვადამდე შესასრულებლად.

ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის მეთაურობით, ჩვენი ქვეყნის ხალხები რწმენით მიდიან წინ კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

სსრ კავშირის 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი

1949 წელს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი აღმავლობა წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის მნიშვნელოვანი ზრდის საფუძველს, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს საჭიროების შეუფერხებელ დაფინანსებას.

სსრ კავშირის 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საერთო მოცულობა შემოსავლის ნაწილში დასახულია 445.208 მილიონი მანეთის რაოდენობით და გასავლის ნაწილში — 415.355 მილიონი მანეთის რაოდენობით. შემოსავლის გადაჭარბება გასავალზე შეადგენს 29.853 მილიონ მანეთს და ხელს შეუწყობს საბჭოთა მანეთის შემდგომ განმტკიცებას.

გასულ წელთან შედარებით ბიუჯეტის შემოსავალი გადიდდება 36.739 მილიონი მანეთით, ანუ 9,0 პროცენტით, და გასავალი—46.514 მილიონი მანეთით, ანუ 12,6 პროცენტით.

ბიუჯეტის მოცულობის გადიდება მოწმობს საბჭოთა კავშირის სოციალისტური ეკონომიკის განუხრელ ზრდას და ფინანსების შემდგომ განმტკიცებას. სახელმწიფო ბიუჯეტი ასახავს საბჭოთა ხალხის მტკიცე გადაწყვეტილებას—ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით შესასრულოს 1949 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმა.

შემოსავალი სსრ კავშირის 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითად განყოფილებათა მიხედვით დაპროექტებულია შემდეგი რაოდენობით:

	(მილიონ მანეთობით)		
	შესრულება 1948 წელს	დაპროექტებული 1949 წლისათვის	გადიდება (+) ან შემცირება (—)
ბრუნვის გადასახადი	247.450	261.868	+14.418
მოგების ანარიცხები	26.480	33.930	+7.453
მოსახლეობის გადასახადები	33.191	36.468	+3,277
სახელმწიფო სესხები	23.930	22.921	—1.009

ბრუნვის გადასახადის და მოგების ანარიცხის შემოსავლის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის ჩვენმა სამეურნეო ხელმძღვანელებმა უნდა გააძლიერონ ბრძოლა პროდუქციის გამოშვების გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისა და მისი უსწრაფესი რეალიზაციისათვის, უფრო ღრმად ჩასწვდნენ ეკონომიკის საკითხებს, მიაღწიონ წარმოების რენტაბელობის შემდგომ ზრდას და მოგების გადიდებას.

საფინანსო ორგანოები მოვალენი არიან სასტიკი კონტროლი გაუწიონ იმას, რომ უკლებლივ ყველა საწარმო და სამეურნეო ორგანიზაცია დროულად ასრულებდეს თავის ვალდებულებას სახელმწიფოს წინაშე, და მეურნეობის ბრძოლა აწარმოონ მომჭირნეობის უმაკრესი რეჟიმისთვის.

სახალხო მეურნეობაში სამეურნეო ანგარიშის განმტკიცება, სასაქონლო-სამასალო ფასეულობათა ბრუნვის დაჩქარება სოციალისტურ საწარმოთა რენტაბელობის გადიდება ხელსაყრელ პირობებს უქმნიან სახალხო მეურნეობაში მოგების შემდგომ ზრდას. სახელმწიფო საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მოგება 1949 წელს შეადგენს 69,6 მილიარდ მანეთს, ე. ი. 33,3 მილიარდი მანეთით ანუ 77,2 პროცენტით მეტი იქნება, ვიდრე 1948 წელს. ეს საშუალებას გვაძლევს მნიშვნელოვნად გავადიდოთ მეურნეობის ხარჯები კაპიტალური მშენებლობისათვის და სპარტუხავი სახსრების ზრდა საკუთარი შემოსავლის ხარჯზე, აგრეთვე შესაძლებლობას მოგვცემს 7,5 მილიარდი მანეთით გავადიდოთ ბიუჯეტში მოგების ანარიცხის შემოსვლა.

მოგება მატულობს სახალხო მეურ-

(გაგრძელება მე-8 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომა

სსრ კავშირის 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და სსრ კავშირის 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ

ფინანსთა მინისტრის დეპუტატ ა. გ. ზვეგინცევის მოხსენება

(გაგრძელება)

ნეობის ყველა დარგში, ამასთან, როგორც ეს ქვემოთ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, გადიდების ძირითადი თანხა გათვალისწინებულია მრეწველობისთვის, ტრანსპორტზე და კავშირგაბმულობაში

	მილიონ მანეთობით		
	შესრულება 1948 წელს	დაპროექტებულია 1949 წლისათვის	მატება
სულ	39.259	69.566	30.307
მათ შორის:			
მრეწველობა	22.718	41.387	18.669
სასოფლო და სატყეო მეურნეობა	1.192	1.626	434
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	3.866	12.459	8.593
ეაჭრობა და დამზადება	5.358	6.730	1.372
სხვა დარგები	6.125	7.364	1.239

1949 წელს მოსახლეობის საგადასახადო გადასახდელები შეადგენენ 36,5 მილიარდ მანეთს ანუ ბიუჯეტის მთელი შემოსავლის 8,2 პროცენტს.

1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი გამოანგარიშებულია სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის შესაბამისად. ბიუჯეტის შემოსავლის შემოსვლას უზრუნველყოფს საქონლის წარმოებისა და რეალიზაციის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება და რენტაბელობის გადიდება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის მთელი შემოსავლის დროული და სრული შემოსვლა უზრუნველყოფს პარტიისა და მთავრობის მიერ 1949 წლისათვის დასახული სახალხო-სამეურნეო ღონისძიებათა ნორმალურ დაფინანსებას.

სსრ კავშირის 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი

სახელმწიფო ბიუჯეტის გასავლის ძირითადი ნაწილი გათვალისწინებულია სახალხო მეურნეობისა და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად. ეს ჩანს შემდეგი მონაცემებიდან

	მილიონ მანეთობით		
	შესრულება 1948 წელს	დაპროექტებულია 1949 წლისათვის	გადიდება (+) ან შემცირება (—)
სულ გასავალი	368.841	415.355	+46.514
მათ შორის:			
სახალხო მეურნეობის დაფინანსება	147.483	152.525	+5.042
სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დაფინანსება	105.609	119.214	+13.605
გასავალი შეიარაღებული ძალების სამინისტროს ხარჯთაღრიცხვით	66.287	79.079	+12.792
გასავალი სახელმწიფო მმართველობის ორგანოების შესანახავად	13.104	13.709	+605

სახალხო მეურნეობის დასაფინანსებლად მიმდინარე წელს ნავარაუდევია ბიუჯეტიდან გაიცეს 152,5 მილიარდი მანეთი ე. ი. ბიუჯეტის მთელი გასავლის 36,7 პროცენტი. გარდა ამისა, ამავე მიზნისათვის სამეურნეო ორგანოები თავიანთი მოგებიდან გაიღებენ 37,4 მილიარდ მანეთს.

ამრიგად, 1949 წელს სახალხო მეურნეობაში ბიუჯეტიდან და მოგებიდან დაბანდებული საერთო თანხა შეადგენს 189,9 მილიარდ მანეთს და 27,0 მილიარდი მანეთით გადაჭარბებს 1948 წლის შესაბამის დანახარჯს.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ამხანაგ სტალინის მითითებით ხორციელდება უდიდესი სახალხო-სამეურნეო ღონისძიება — ძირითადად 1949 წელს და მთლიანად 1950 წელს გაუქმდება მრეწველობისა და ტრანსპორტისათვის სახელმწიფო ოდენაციის სისტემა.

როგორც ცნობილია, ომის წლებში, ხელფასისა და ომინაწილის ვითარებით გამოწვეული სხვა ხარჯების ზრდასთან დაკავშირებით, მძიმე მრეწველობის მთელი რიგი დარგების პროდუქციის თვითღირებულება მნიშვნელოვნად გაიზარდა, მაშინ როცა 1939-1940 წლებში დაწესებული სანთლის ფასები და რკინიგზის სატვირთო ტარიფები უცვლელი დარჩა. სანთლის ფასებისა და პროდუქციის თვითღირებულების დონეს შორის ასეთმა განსხვავებამ გამოიწვია მძიმე მრეწველობის მთელი რიგი დარგების ზარალიანობა და ბიუჯეტიდან სახელმწიფო დოტაციის გადიდება.

სახელმწიფო ოდენაციის სისტემა მეურნეობის ზოგიერთ დარგში აფერხებდა საწარმოებში სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებას, ანელებდა თვითღირებულების შემცირებისთვის ბრძოლის სტიმულს და ამცირებდა სამეურნეო ხელმძღვანელთა დაინტერესებას იმ საწარმოთა საქმიანობის შედეგით, რომლებსაც ისინი სათავეში ედგნენ.

მეურნეობის ომისშემდგომი გარდაქმნის დამთავრებამ არა მარტო პირობები შექმნა, არამედ სრულიად აუცილებელი გახადა სახელმწიფო დოტაციის გაუქმება პროდუქციის თვითღირებულების გადაჭრით შემცირებისა და მძიმე მრეწველობის მთელი რიგი დარგების პროდუქციის სბპითუმო ფასების ერთგვარი გადიდების გზით.

მთავრობამ გადაწყვეტილება მიიღო 1949 წლიდან ახალი სბპითუმო ფასების, აგრეთვე ტრანსპორტზე ტვირთის მიმოზიდვის ახალი ტარიფების შემოღების შესახებ. ეს უზრუნველყოფს ხელსაყრელ პირობებს სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებისა და სამეურნეო გეგმების შესრულებისადმი მანეთით კონტროლის გაძლიერებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ მრეწველობის ზოგიერთი დარგის პროდუქციის სბპითუმო ფასების შეცვლა ხდება ბრუნვის გადასახადის შემცირების ხარჯზე, ამასთან საცალო ფასები არათუ დიდდება, არამედ კიდევაც მცირდება.

ახალი სბპითუმო ფასების დაწესება საშუალებას იძლევა, რომ თვითღირებულების შემდგომი შემცირების საფუძველზე უზრუნველყოთ მოგების ნაშთების შექმნა. ამით ცალკეულ შემოხვევებში იყენება კაპიტალური მშენებლობისათვის გადებული სახელმწიფო სახსრები.

ბევრგან დღემდე ხდება მშენებლობის გაძვირება. მაგალითად, ქიმიის მრეწველობის სამინისტროს ვორონეჟის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველომ მშენებლობის ღირებულების შემცირების ნაცვლად გაძვირა იგი და შესრულებულ სამუშაოთა ყოველ მანეთზე 82 კაპიკი იზარალა. ზარალი გამოიწვია ხელფასისა და მასალის ფონდის გადახარჯვამ, აგრეთვე სხვა უნაყოფო დანახარჯებმა.

ძმიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს ტრესტმა „ტულპრომსტროიმ“ სამუშაოთა ღირებულების შემცირების ნაცვლად 8,6 მილიონი მანეთი იზარალა, რაც 60 კაპიკს შეადგენს შესრულებულ სამუშაოთა თვითეულ მანეთზე.

გზათა სამინისტროს მარტო ქალაქ ვორონეჟში 3 სამშენებლო ორგანიზაცია აქვს. არც ერთი ეს ორგანიზაცია არ არის დატვირთული მუშაობით, რის შედეგადაც მარტო 1948 წლის ექვსთვეში მათ 5 მილიონ მანეთზე მეტი იზარალეს.

მშენებლობის ღირებულების გაძვირების ძირითადი მიზეზებია შრომის ორგანიზაციის ნაკლოვანებანი, შრომატევადი სამუშაოთა მექანიზაციის ჩამორჩენა, დამტკიცებულ ხარჯთაღრიცხვებთან შედარებით მასალის ხარჯვის გადამეტება, აგრეთვე ზომაზე მეტი ზედნადები ხარჯები.

სამინისტროებმა და სამშენებლო ორგანიზაციებმა გადამწყვეტი ღონისძიებანი უნდა იხმარონ, რათა მშენებლობებზე მოწყობილობისა და მასალის ზედმეტი მარაგი არ ინახებოდეს.

ზოგიერთ მშენებლობაზე არის არა მარტო ჭარბი, არამედ ისეთი მოწყობილობა, რომელიც მათ სრულიად არ სჭირდებათ. ქიმიის მრეწველობის სამინისტროს ცალკეულ მშენებლობებზე მოწყობილობის მარაგი თითქმის ხუთჯერ აღემატება ნორმალურ საჭიროებას. მოწყობილობის მარაგის ნორმები მნიშვნელოვნად არის გადაჭარბებული სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტროს მშენებლობებზე. ამ ზეგეგმიოს მარაგში შედის დიდძალი მოწყობილობა, რაც მშენებლობებზე მიზიდულ იქნა მისი გამოყენების შესაძლებლობის გაუთვალისწინებლად.

სამინისტროებმა და სამშენებლო ორგანიზაციებმა გადამწყვეტი ღონისძიებანი უნდა განხორციელონ მშენებლობის ღირებულების მკვეთრი გაიაფებისათვის, ჭარბი მოწყობილობის სახალხო მეურნეობაში გამოყენებისა და ასიგნებათა უმნიშვნელოვანეს ასამუშავებელ ობიექტებზე თავმოყრისათვის, რომლებიც 1949 წელს უნდა ამუშავდნენ. საფინანსო ორგანებმა უნდა გაძლიერონ კონტროლი კაპიტალური მშენებლობისათვის სახსრების ხარჯვისადმი. ეს განსაკუთრებით შეეხება გრძელვადიან დაბანდებათა ბანკებს, რომლებიც უშუალოდ არიან მოწოდებული განახორციელონ კონტროლი მშენებლობის მიმდინარეობისა და მისი ღირებულების შემცირებისადმი.

წელს გათვალისწინებულია საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა საკუთარი საბრუნავი სახსრების 23,6 მილიარდი მანეთით გადიდება. საბრუნავი სახსრების ამ მატების დასაფარავად ბიუჯეტიდან ასიგნებულია 10,1 მილიარდი მანეთი. საწარმოები და ორგანიზაციები ამ მიზნისათვის გაიღებენ 13,5 მილიარდ მანეთ საკუთარ სახსრებს.

მოგების დასახულ ზრდასთან დაკავშირებით მცირდება საბიუჯეტო ასიგნობათა წილი საკუთარი საბრუნავი სახსრების მატების დაფარვის წყაროებში. საბიუჯეტო ასიგნობათა ხვედრითი წონა მცირდება 1948 წლის 62,3 პროცენტიდან 1949 წლის 42,8 პროცენტამდე.

უნდა გავაუმჯობესოთ სახალხო მეურნეობაში საბრუნავი სახსრების გამოყენება და გადამწყვეტი ბრძოლა ვაწარმოოთ მასალისა და მზა პროდუქციის ზედგამეთი მარაგის შესამცირებლად, რომელიც მრეწველობის ცალკე დარგებში მეტად გაიზარდა. 1948 წლის 1 ოქტომბრისათვის მზა პროდუქციის მარაგი ყვების მრეწველობაში 30 პროცენტით სჭარბობდა ნორმატივებს. უფრო დიდი მარაგი იყო ხორცისა და რძის მრეწველობაში. ამ სამინისტროს გამსაღებელ ორგანიზაციებში მზა პროდუქციის მარაგი 1948 წლის 1 ოქტომბრისთვის 2,5-ჯერ სჭარბობდა 1947 წლის იმავე თარიღისათვის მზა პროდუქციის ნაშთებს. მზა პროდუქციის და მასალის მარაგი დიდია აგრეთვე მტალურგიულ, ქვანახშირისა და მრეწველობის მთელ რიგ სხვა დარგებში. საბრუნავი სახსრების არასწორი გამოყენება, ზეგეგმითი მარაგის შექმნა ანელებს სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ბრუნვას, აუარესებს საწარმოთა ფინანსურ მდგომარეობას და იწვევს სახელმწიფო ბანკის სესხების ვადების გადაცილებას და მიმწოდებლებისათვის ფასის გადაუხდელობას.

სამინისტროებმა სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა მარაგი უნდა შეუფარდონ დაწესებულ ნორმატივებს. უნდა გაუმჯობესდეს საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება, შემცირდეს საწარმოო ციკლი და უზრუნველყოფილ იქნას სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ბრუნვის დაჩქარება.

მოსკოვის 103 საწარმოს პატრიოტულ თაოსნობას, რომლებმაც იკისრეს დაჩქარონ საბრუნავი სახსრების ბრუნვადობა და 1949 წელს სახალხო მეურნეობის საჭიროებისათვის გათავისუფლონ 400 მილიონი მანეთი, ფართოდ გამოეხმაურენ დედაქალაქისა და ოლქის ყველა საწარმოში. ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მრეწველობის მუშაკებმა, ამხანაგ სტალინისათვის გაგზავნილი წერილით იკისრეს — 1949 წელს მთლიანად მოსკოვის მრეწველობაში გათავისუფლონ 1.300 მილიონი მანეთი. მოსკოველთა შესანიშნავ თაოსნობას ერთსულოვნად დაუჭირა მხარი მთელმა ჩვენმა ქვეყანამ. სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ბრუნვა-ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეკონომიური მაჩვენებელია, რაც საწარმოთა საქმიანობის ხარისხს ახასიათებს. ბრუნვის დაჩქარებას ბრუნვიდან სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა დიდი რაოდენობის გათავისუფლებასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა აქვს თვითღირებულების შემცირებისა და მთელ სახალხო მეურნეობაში რენტაბელობის გადიდებისათვის.

1949 წელს სახალხო მეურნეობის მეტწილ დარგებში გათვალისწინებულია სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ბრუნვის დაჩქარება. მთლიანად სახალხო მეურნეობაში ბიუჯეტით გათვალისწინებულია ბრუნვის დაჩქარება 3 პროცენტის რაოდენობით 1948 წლის ნორმატივთან შედარებით.

სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა გამოყენების გასაუმჯობესებლად და მათი ბრუნვის დასაჩქარებლად საჭიროა გაძლიერდეს მანეთით კონტროლი სამეურნეო ორგანოებისა და მშენებლობათა მუშაობისადმი. ამ ამოცანის გადაჭრაში დიდი როლი უნდა შეასრულონ საფინანსო ორგანოებმა, სახელმწიფო ბანკმა და გრძელვადიან დაბანდებათა ბანკებმა.

დიდი სახელმწიფო სახსრები ასიგნებულია სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის. ბიუჯეტის გასავალი სოფლის მეურნეობის დასაფინანსებლად 1948 წლის 20,5 მილიარდი მანეთიდან დიდდება 32,7 მილიარდ მანეთამდე 1949 წელს. სოციალისტური სოფლის მეურნეობისათვის ეს მრავალძალიანდიანი ასიგნობანი ნათლად გვიჩვენებენ ამბნაგ სტალინის უდიდეს ზრუნვას კოლქტიური მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცებისათვის, კოლეტიურთა შეძლებული ცხოვრების ყველა პირობის შექმნისათვის.

ბიუჯეტის სახსრების ძირითადი წილი დაიხარჯება სოფლის მეურნეობის მექანიზაციის განსაკუთარებლად. იმ ღონისძიებათა დასაფინანსებლად, რომლებიც დაკავშირებულია მინდორსაცავი ტყის ნარგავების გეგმის განხორციელებასთან, ნათესბალახიანი თესლბრუნვის დანერგვისა, გუბურებისა და ყაზარატევების მშენებლობასთან, მარტო ბიუჯეტით გაიცემა 800 მილიონ მანეთზე მეტი.

საბჭოთა სახელმწიფო უდიდეს სამეურნეო მშენებლობასთან ერთად ახორციელებს ამ სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დიდ გეგმას, რომლებიც წარმოადგენენ ხალხის კულტურისა და მატერიალური კეთილდღეობის დონის ამაღლების მნიშვნელოვან საშუალებას. ამ ღონისძიებათათვის 1949 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 119,2 მილიარდი მანეთი, ე. ი. ზრდა, 1948 წელთან შედარებით ზედრის 13,6 მილიარდ მანეთს ანუ 19,9 პროცენტს.

სოციალურ-კულტურული ხარჯების საერთო თანხიდან განათლების ხარჯები შეადგენენ 60,8 მილიარდ მანეთს, ჯანმრთელობის დაცვისა — 21,6 მილიარდ მანეთს, სოციალური უზრუნველყოფისა — 21,4 მილიარდ მანეთს, დაბმარება მრავალშვილიან და მარტოხელა დედებისათვის — 3,4 მილიარდ მანეთს. გასავალი სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტით დიდდება 1948 წლის 14,4 მილიარდი მანეთიდან 16,6 მილიარდ მანეთამდე 1949 წელს.

განათლების ხარჯები უზრუნველყოფენ 1949 წელს საყოველთაო შვიდწლიანი სწავლის განხორციელებას და საშუალო განათლების შემდგომ გაფართოებას. მოსწავლეთა საერთო რაოდენობა დაწყებით, შვიდწლიან და საშუალო სკოლებში მიაღწევს 33,9 მილიონ კაცს, ხოლო სტუდენტთა რაოდენობა უმაღლეს სასწავლებლებს, ტექნიკუმებსა და სხვა საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში შეადგენს 1.900 ათასამდე კაცს.

უმაღლეს სასწავლებლებში სპეციალისტთა მომზადების ხარისხის დაუმჯობესების მიზნით შარშან გარდაქმნა სტუდენტთა სტიპენდიათა უზრუნველყოფის სისტემა. გაუთბობესდა სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სახსრების ხარჯვის წესი. მთავრობამ მიიღო აგრეთვე მთელი რიგი გადაწყვეტილებანი სხვა სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათათვის სახსრების ხარჯვის მოსაწესრიგებლად. მნიშვნელოვნად შემცირდა ღონისძიებანი თეატრებისათვის, რაც აფერხებდა თეატრების განვითარებას და ხელს უშლიდა მათს შემოქმედებით ზრდას.

საჭიროა შემდეგშიც ვაწარმოოთ ბრძოლა სახელმწიფო სახსრების მომჭირნეობ ხარჯვისათვის და გადაჭრით აღმოვფხვრათ ზედმეტი ხარჯები და უყაირათობა.

პარტია და მთავრობა, ამხრეიელ-ბენერა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის უდიდეს ღონისძიებებს, დაუფალავად ზრუნავენ ჩვენი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების განმტკიცებისათვის, რაც აგრეთვე გამოხატულებას პოულობს ბიუჯეტის ციფრებით.

განზრახულია 1949 წელს ჩვენი შეიარაღებული ძალების შესანახავად დათხარჯოს 79,1 მილიარდი მანეთი ანუ ბიუჯეტის გასავლის 19,0 პროცენტი. სამხედრო ხარჯების ერთგვარი გადიდება შარშანდელი წლის ხარჯებთან შედარებით დაკავშირებულია სბპითუმო ფასებისა და რკინიგზის ტარიფების გადიდებასთან.

შეიარაღებული ძალებისათვის 1949 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნობანი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფენ მთელ ხარჯებს საბჭოთა არმიისას, რომელიც საიმედოდ იცავს ჩვენი სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

საბჭოთა ქვეყანა, რომელიც ეწევა შვიდობიან შემოქმედების შრომას სოციალისტური მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარებისათვის, განუხრელად ახორციელებს სამშვიდობო პოლიტიკას და იბრძვის მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში. საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკა ყველაზე წინააღმდეგობას ხვდება ინგლის-ამერიკის რეაქციული წრეების მხრივ. იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა, რომლებიც ომისათვის მზადების პოლიტიკას ეწევიან, მნიშვნელოვნად გაადიდეს სამხედრო ხარჯები ომამდელ დროსთან შედარებით.

ამერიკის შეერთებული შტატების ბიუჯეტში 1948-49 წლებში სამხედრო ხარჯები 1938-39 წლებთან შედარებით თითქმის 15-ჯერ გადიდდა 1949-50 წლების სამხედრო ხარჯები, როგორც კონგრესისადმი პრეზიდენტის მიერ გაგზავნილ წერილშია აღნიშნული, მთელი ბიუჯეტის 38 პროცენტს შეადგენს, ხოლო სამხედრო მიზნებისათვის სხვა ასიგნებათა გათვალისწინებით ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხარჯები 1949-50 წლებში ამ ქვეყნის ბიუჯეტის ნახევარზე მეტს შეადგენენ. რაც შეეხება ინგლისს, მისი სამხედრო ხარჯები 1948-49 წლებში 1938-39 წლებთან შედარებით თითქმის ერთნაირად გადიდდა. მოყვანილი ციფრები ცხადყოფენ შეერთებული შტატებისა და ინგლისის ანლანდელი ხელმძღვანელების აგრესიულ პოლიტიკას.

ამხანაგო დეპუტატებო! 1949 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია ხარჯების დიდი ზრდა სახალხო მეურნეობისა და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად. ამავე დროს უმნიშვნელოდ დიდდება ხარჯები სამმართველო აპარატის შესანახავად.

სახელმწიფო მმართველობის ორგანოების შესანახავი ხარჯები 1949 წლის ბიუჯეტით განსაზღვრულია 13,7 მილიარდი მანეთის რაოდენობით, ე. ი. 600 მილიონი მანეთით მეტია, ვიდრე 1948 წელს, რაც გაპირობებულია ახალი საბიუჯეტო ფასებისა და ტარიფების შემოღებით.

მთავრობის მითითებით უკანასკნელ დროს დიდი მუშაობა შესრულდა სახელმწიფო აპარატის მოსაწესრიგებლად და გასაიაფებლად. მაგრამ მმართველობის ორგანოებში ჯერ კიდევ სრულიადაც არ არის აღმოფხვრილი სერიოზული ნაკლოვანებანი და ზედმეტი ხარჯები.

ჩვენს აპარატში ცოტა როდია არასაჭირო რგოლი და სტრუქტურული ქვეგანყოფილება, გაბერილი შტატები და უყაირათობა ადმინისტრაციულ-სამმართველო საჭიროებისათვის სახსრების ხარჯვის დროს. ავიღოთ თუნდაც ჩვენი მომარაგებაგასაღების აპარატი. აქ არის ბევრი არასაჭირო ორგანიზაცია, რის შესანახავადაც დიდი სახელმწიფო სახსრები იხარჯება.

საავტომობილო და სატრაქტორო მრეწველობის სამინისტროს ქალაქ ჩელიაბინსკში აქვს სამი დიდი ორგანიზაცია: „გლავსნაბის“ და „გლავტრაქტორსბიტის“ კონტორები და „ავტოტრაქტორსბიტის“ სარეზერვო ბაზა, რომელთა შესანახავადაც მიზანშეუწონლად იხარჯება სახელმწიფო სახსრების დიდი თანხა. მეტალურგიული მრეწველობის სამინისტროს ქალაქ ჩელიაბინსკში აქვს 4 დიდი მომარაგებაგასაღების ორგანიზაცია, რომელთა შტატში ირიცხება 314 კაცი — ამ ორგანიზაციების შესანახავად ყოველწლიურად იხარჯება 4 მილიონამდე მანეთი. ქიმიური მრეწველობის სამინისტროს ქალაქ კუიბიშევში აქვს 2 მომარაგებაგასაღების კანტორა და 1 გამსაღებელი ბაზა, რომელთა ფუნქციებიც თითქმის ერთგვარია. აღნიშნული ორგანიზაციების შეერთება მხოლოდ დაიჩქარებდა მობმახარბლამდე საქონლის მიტანას და მოგვცემდა სახელმწიფო სახსრების ეკონომიას.

ასეთი მაგალითები მრავალია.

უნდა გადაისინჯოს სამინისტროებისა და უწყებათა მომარაგებაგასაღების აპარატი, გამარტივდეს და ლიკვიდირებულ იქნას არასაჭირო დაწესებულებანი. ეს გაუთბობესებს საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას. მომხმარებლამდე საქონლის მიტანას დასაჩქარებლად საჭიროა აღმოიფხვრას აგრეთვე საბითუმო ვაჭრობის ზედმეტი შუალედი რგოლები.

მომარაგებაგასაღების ქსელის შემცირება და გამარტივება შესაძლებლობას მოგვცემს შევამციროთ სახსრების ხარჯვა და მომარაგებისა და გასაღების საქმის დაუნაზებლად გავათავისუფლოთ მუშა-მოსამსახურეთა მნიშვნელოვანი რაოდენობა, რომლებიც გამოყენებულ იქნებიან ჩვენი სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში.

სერიოზული ნაკლოვანებანი გვაქვს აგრეთვე ადმინისტრაციულ-სამეურნეო საჭიროებისათვის სახსრების ხარჯვაში.

დაწესებულებათა და საწარმოთა ხელმძღვანელები უფრო მკაცრად უნდა მოეპყრონ ხარჯთაღრიცხვის შედგენისას და სახარჯთაღრიცხვო დისციპლინის დარღვევათა დროს უყაირათობისა და უპასუხისმგებლობის ფაქტებს. საჭიროა უფრო მტკიცედ ვიბრძოთ აპარატის შემდგომი გაუმჯობესებისა და რაციონალიზაციისათვის, რაც საბჭოთა სახელმწიფოს შესაძლებლობას მისცემს დაზოგოს მრავალი მილიონი მანეთი.

მოკავშირე რესპუბლიკების 1949 წლის ბიუჯეტები

საკავშირო ბიუჯეტის ზრდასთან ერთად მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტები 1948 წლის 85,4 მილიარდი მანეთიდან დიდდება 92,4 მილიარდ მანეთამდე 1949 წელს.

მოკავშირე რესპუბლიკათა 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტები შემოსავლისა და გასავლის მიხედვით განაწილდება შემდეგი თანხებით:

	(მილიონ მანეთობით) 1948 წელი	1949 წელი
რსფსრ	47.644	51.571
უკრაინის სსრ	15.133	16.503
ბელორუსის სსრ	3.557	3.741
უზბეკეთის სსრ	3.152	3.190
ყაზახეთის სსრ	3.066	3.578
საქართველოს სსრ	2.278	2.500
აზერბაიჯანის სსრ	1.761	1.830
ლიტვის სსრ	1.133	1.307
მოლდავეთის სსრ	959	1.055
ლატვიის სსრ	1.406	1.448
ყირგიზეთის სსრ	889	960
ტაჯიკეთის სსრ	906	899
სომხეთის სსრ	1.050	1.103
თურქმენეთის სსრ	788	1.222
ესტონეთის სსრ	935	967
კარელია-ფინეთის სსრ	684	549

მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტების ზრდა ასახავს რესპუბლიკური და ადგილობრივი მეურნეობის განუწყვეტელ განვითარებას, საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლებას. ტაჯიკეთის სსრ და კარელია-ფინეთის სსრ სახელმწიფო ბიუჯეტების გასავლის ერთგვარი შემცირება 1949 წელს მთლიანად დაკავშირებულია იმასთან, რომ რესპუბლიკური და ადგილობრივი მეურნეობის მოგების ზრდის შედეგად ამ რესპუბლიკების ბიუჯეტებიდან მკვეთრად შემცირდა ასიგნებანი მთელ რიგ ორგანიზაციათა და საწარმოთა სახელმწიფო დოტაციისათვის. რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოთა და ორგანიზაციათა საერთო პროდუქცია 1949 წელს მნიშვნელოვნად იზრდება, რაც უფრო მეტად განამტკიცებს რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტების საკუთარ საშემოსავლო ბაზას.

მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტების სახსრების ძირითადი თანხა დაიხარჯება სახალხო მეურნეობისა და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად.

1949 წელს რესპუბლიკური და ადგილობრივი მეურნეობის დასაფინანსებლად მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტებიდან დაიხარჯება 20,1 მილიარდი მანეთი. გარდა ამისა, საკუთარი დაგროვებიდან საწარმოები და სამეურნეო ორგანიზაციები ამ საჭიროებისათვის დახარჯავენ 4,2 მილიარდ მანეთს. მოკავშირე რესპუბლიკათა ბიუჯეტებიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათათვის განკუთვნილი ხარჯები 1949 წელს შეადგენენ 62,6 მილიარდ მანეთს.

სახალხო მეურნეობისა და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა საჭიროებისათვის მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტებში მსგავალი ასიგნებანი ასახავენ საბჭოთა სახელმწიფოს და ბოლშევიკური პარტიის მიერ ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის თანმიმდევრულ განხორციელებას, რაც მიმართულია საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის მეურნეობისა და კულტურის ყოველმხრივი სწრაფი აღმავლობისაკენ.

(დასასრული მე-4 გვერდზე)

დეკუზაჯ ა. გ. ზვერევის მოხსენების დასასრული

III. გაკაკაჯობესოთ სამეურნეო და საფინანსო მუშაობის ხარისხი

სსრ კავშირის 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების აღცილებელ პირობას წარმოადგენს ჩვენი სამეურნეო და საფინანსო მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება.

განსაკუთრებულ ყურადღება უნდა მიექცეს ხარისხობრივი მაჩვენებლების შემდგომ გაუმჯობესებას მრეწველობის მუშაობაში. შრომის ნაყოფიერების ზრდა, პროდუქციის ხარისხის ყოველმხრივ გაუმჯობესება, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობათა ბრუნვის დაჩქარება, თვითღირებულების შემცირება, საწარმოთა მომგებიანობის გადიდება ჩვენი ხელმძღვანელების ყურადღების ცენტრში უნდა იყოს.

1949 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმაში გათვალისწინებულია შრომის ნაყოფიერების ზრდა მრეწველობაში 14 პროცენტით და მშენებლობაში 12 პროცენტით შარშანდელთან შედარებით. ჩვენ ყველაფერი გვაქვს, რაც საჭიროა ამ დავალების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. ამისათვის ყველგან უნდა დავნერგოთ მოწინავე ტექნიკა, წარმოების ყველაზე სრულყოფილი ტექნოლოგია, სწორად მოვაწყოთ შრომა, გაუთანასწორდეთ საუკეთესო სტახანოველთა მიღწევებს და მოვსპოთ ზოგან დარჩენილი გამოუმუშავების შემცირებული ნორმები.

ფულის რეფორმის შემდეგ ძნიშნელოვნად გაიზარდა ფულის როლი მუშათა და კოლმეურნეთა შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის, სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებისათვის, სახელმწიფო სახსრების მოჭირნეობით ხარჯვისათვის ბრძოლაში.

სახელმწიფო ამარტის მუშაკებმა, სამეურნეო ხელმძღვანელებმა, საბჭოთა საწარმოების მუშა-მოსამსახურეებმა განუხრელად უნდა განაგრძონ ბრძოლა მანეთის შემდგომი განმტკიცებისათვის. ჩვენ უნდა დავკეტოთ ყველა ხვრელი, რომელთა საშუალებით არარაციონალურად იქსაქსება სახალხო-სამეურნეო დაგროვება. უმაკურესი მოჭირნეობა საწარმოო ხარჯებში, ბრუნვის ხარჯებში, სახელმწიფო ამარტის შენახვის ხარჯებში. ჩვენი ერთ-ერთი უძნიშვნელოვანესი ეკონომიური ამოცანაა. შეუწყნარებელია სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო დისციპლინისა და მატერიალური და ფულადი სახსრების ხარჯვის გეგმის თუნდაც ოდნავი დარღვევა.

თვითეულ საბჭოთა ადამიანს უნდა ახსოვდეს, რომ რაც უფრო მკაცრად განხორციელდება მომჭირნეობის რეჟიმი, მით უფრო სწრაფად განმტკიცდება მანეთი, მით უფრო სწრაფად გაიზრდება ხალხის კეთილდღეობა.

ამხანაგ სტალინის მითითებათა შესაბამისად ამჟამად ახლებურად უნდა დავაყენოთ გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლის საკითხები. პროდუქციის ხარისხისა და ასორტიმენტის გაუმჯობესებას ბევრი საწარმოს ხელმძღვანელები ჯერ კიდევ არ აქცევენ ჯეროვან ყურადღებას. ზშირად სამეურნეო მუშაკები არიკვეენ პროდუქციის ხარისხისა და ასორტიმენტის სახელმწიფო გეგმას, გადაჭარბებით ასრულებენ ნაკლებ საჭირო დავალებებს მეორეხარისხოვან ნაკეთობათა ხარჯზე და არ ასრულებენ მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს ნაკეთობათა გეგმას. მაგალითად, ძმძმე მანქანათმშენებლობის სამინისტროს „გლავკოლსტუროპოპრომის“ ქარხნებმა 1948 წელს 110,9 პროცენტით შესრულეს მთლიანად პროდუქციის გამოშვების გეგმა და ამავე დროს მნიშვნელოვანი დანაკლისით შესრულეს ცალკეული უმნიშვნელოვანესი სახეობის პროდუქციის გეგმა. ორთქლის ტურბინების წარმოების გეგმა შესრულებულია მხოლოდ 61,1 პროცენტით, ტურბოგენერატორებისა — 57,1 პროცენტით, ტურბოტუმბოებისა — 28,9 პროცენტით.

ელექტრომრეწველობის სამინისტრომ საერთო პროდუქციის 1948 წლის გეგმის 115 პროცენტით შესრულებისას ვერ შეასრულა ბევრი უმნიშვნელოვანესი ნაკეთობის გეგმა: ტურბოგენერატორების გამოშვების გეგმა შესრულებულია მხოლოდ 71,2 პროცენტით, სამაგნიტოელო ელმავლებისა — 54,3 პროცენტით, თბომავლების ელექტრომოწყობილობისა — 78 პროცენტით და ასკილოვატიანი სიმძლავრის გენერატორებისა — 83 პროცენტით.

ანალოგიური მდგომარეობაა სსრ კავშირის ყვების მრეწველობის სამინისტროს საპარფუმერიო მრეწველობის მთავარი სამმართველოს საწარმოებში. საპარფუმერიო მრეწველობის საწარმოები განაგრძობენ ისეთი პროდუქციის გამომუშაებას, რომელზეც მოსახლეობაში მოთხოვნილება არ არის და საკმაო რაოდენობით არ ამზადებენ მოსახლეობისათვის საჭირო საქონელს. მუშაობის ასეთი პრაქტიკა სახელმწიფოს სერიოზულ ზარალს აყენებს, ვინაიდან იგი ფუვეებს მატერიალურ ფასეულობათა ბრუნვის შენელებას და მომხმარებლისათვის უსარგებლო პროდუქციის ჩაწოლას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაგმო შორეულარსხოვანი ნაკეთობის ბარჯზე საერთო პროდუქციის გეგმის შესრულების პრაქტიკა, როცა არ სრულდება უმნიშვნელოვანესი სახეობის პროდუქციისა და ასორტიმენტის გეგმა. წარმოების გეგმა მხოლოდ მათი ჯარიმა გადაიხადა მეტალურგიული მრეწველობის სამინისტროს 143 საწარმოს გადახდილი აქვს 32,3 მილიონი მანეთი ჯარიმა.

ზედხედები ხარჯები ჯერ კიდევ შეადგენს იმ ხარჯების მეტად დიდ ნაწილს, რომლებიც პროდუქციის თვითღირებულებაში შედის. 1947 წლის წლიური ანგარიშების მონაცემებით საკავშირო მრეწველობაში საამქროს ხარჯები 1.000 მანეთის საერთო პროდუქციაზე 158 მანეთს შეადგენდა და მეტი იყო, ვიდრე ომამდელ 1940 წელს. საქმე უკეთესად არც სხვა ზედხედვები ხარჯების მხრივ გვაქვს. ეს ხარჯები მნიშვნელოვნად უნდა შემცირდეს, რაც სახელმწიფოს ასეულ ძალიონობით მანეთ დამატებითს ეკონომიას მისცემს.

თვითღირებულების შემდგომი შემცირებისათვის ბრძოლა მოითხოვს, რომ გაძლიერდეს კონტროლი სახალხო მეურნეობაში მატერიალური და ფულადი სახსრების მომჭირნეობით ხარჯვისადმი. ამასთან დაკავშირებით ძლიერდება შინასაუწყებო კონტროლის, აგრეთვე საფინანსო და სანაკონორგანოების კონტროლის როლი, რომლებიც მოვალენი არიან სისტემატურად შეამოწმონ, თუ რამდენად სრულდება მასალებისა და ფულადი რესურსების გამოყენების კანონით დადგენილი წესი, რამდენად მიზანშეწონილად და ყაირათიანად იხარჯება სახელმწიფო სახსრები. მათ დროულად და ობერატიულად უნდა გამოაშკარაონ საფინანსო დისციპლინის დარღვევა და დაუნდობელი ბრძოლა გამოიცხადონ უყაირათოდ მომუშავე პირებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი საფინანსო ორგანოს და სახბანკის დაწესებულებათა მუშაობა ჯერ კიდევ არ შეესაბამება სახალხო მეურნეობის გაზრდილ მოთხოვნებს. არასაკმარისად ხორციელდება სბანკო კონტროლი იმ საწარმოთა სამეურნეო და საფინანსო საქმიანობისადმი, რომელნიც არასწორად იყენებენ საბრუნავ სახსრებს, არ ასრულებენ წარმოებისა და დაგროვების გეგმებს. უნდა გფარფოთოდეს ბანკის საკრედიტო ურთიერთობა ძმძმე მრეწველობის მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი დარგების საწარმოებთან, განსაკუთრებით მანქანათმშენებლობის, მეტალურგიისა და სხვა საწარმოებთან, რაც გააძლიერებს ამ საწარმოთა მუშაობისადმი ყოველდღიურსა და ქმედითს კონტროლს ანმეთით.

1949 წელს ფართო მოხმარების საქონლის წარმოების მნიშვნელოვანი ზრდა ხელსაყრელ პირობებს ქმნის ხალხის მატერიალური კეთილდღეობის დონის ამაღლებისათვის. მაგრამ საუბარია არა მარტო წარმოება საქონლისა, არამედ ისიც, რომ ეს საქონელი დროულად მივაწოდოთ მომხმარებელს. საჭიროა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს ჩვენი სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის მუშაობა, გაუმჯობესდეს მომხმარებელთა მომსახურების ხარისხი და სისტემატურად იქნას შესწავლილი მათი მოთხოვნილება. ალია მომხმარებელი ვაზრდილ მოთხოვნებს უყენებს საეაჭრო ორგანიზაციებს და სავსებით სამართლიანად სურს მაღალი ხარისხის საქონელი მიიღოს სრულფასოვანი საბჭოთა ფულით. ამაკე დროს საეაჭრო ორგანიზაციები ყოველთვის როდი აკმაყოფილებენ ასეთ მოთხოვნილებას, რადგან საკმაოდ არ ზრუნავენ საქონლის საკონო ასორტიმენტისა და სათანადო ხარისხისათვის.

საეაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა უფრო დიდი მოთხოვნები უნდა წარუდგინონ მიმწოდებელთ, უფრო მკაცრად გაუწიონ კონტროლი პროდუქციის ხარისხს და დროულად გააცნონ მრეწველობას მომხმარებელთა მოთხოვნილებანი.

ეკაჭრობის მუშაკები მოვალენი არიან უზრუნველყოფ ყველა მაღაზია და დუქანი საკონო ასორტიმენტის საქონლით, რაც შეესაბამება მომხმარებლის მოთხოვნილებას. ამ საქმეში დიდი როლი უნდა შეასრულონ ადგილმპრივმა საქონლის რესურსებმა, რომლებიც აგრეთვე უნდა გამოვლენილნთ და მივაწოდოთ მომხმარებელს. ამასთან დაკავშირებით ადგილობრივმა მეწველობამ, სარეწოო და სამომხმარებლო კოოპერაციამ უნდა გარდაქმნან მუშაობა ახალი პირობების შესაბამისად და მშრომელებს დამატებით მისცეს დიდძალი მაღალხარისხოვანი სამრეწველო და სასურსათო საქონელი.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა და მშრომელთა დეპუტატების საბჭოებმა უნდა გააძლიერონ კონტროლი ადგილობრივი მრეწველობის, სარეწოო და სამომხმარებლო კოოპერაციის სამეურნეო-საფინანსო მუშაობისადმი, რათა გაუმჯობესდეს ხარისხი და სისტემატურად შემცირდეს მათ მიერ გამოშვებული პროდუქციის ფასები, გადაჭრით აღმოიფხვრას მუშაობის ნაკლოვანებანი და სავსებით მოისპოს ზარალი ადგილობრივი და კოოპერაციული მრეწველობა და ვაჭრობის საწარმოებში.

სამეურნეო ანგარიშის განმტკიცების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს კეთილზარისხოვანი საბუხალტრო ანგარიშის მოკლე ვადებში წარდგენას.

კეთილზარისხოვანი საბუხალტრო ანგარიშის დროულად წარდგენა კანონი უნდა გაგდეს საწარმო-დაწესებულებათა მუშაობაში.

არ შეიძლება საწარმოთა ჯეროვანი მართვა, თუ დროულად დაწყრიდ შედგენილი ბალანსი არ გვექნება. თუ საბუხალტრო აღრიცხვა ჯეროვან სიმაღლეზე არ არის, არ შეიძლება არსებობდეს სამდეგი სამეურნეო ანგარიში.

სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა და საფინანსო ორგანოებმა მუშაკებმა ბრძოლა უნდა გააჩაღონ აღრიცხვის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ოპერატიულად გამოიყენონ ანგარიშგება, როგორც სამეურნეო და საფინანსო საქმიანობის ხელმძღვანელობის უმნიშვნელოვანესი იარაღი. საბუხალტრო ანგარიშგების ანალიზის საფუძველზე დროულად უნდა გამოაშკარავდეს ნაკლოვანებანი და დაისვას ამა თუ იმ ორგანიზაციის მუშაობის გაუმჯობესების საკითხი.

* * *

ამხანაგო დეპუტატებო! ომისშემდგომი სტალინური ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის წარმატებითი ბრძოლის შედეგად უკანასკნელი სამი წლის მანძილზე უდიდესი მუშაობა შესრულებული ჩვენი სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარებისათვის. გადაჭარბებულია სამრეწველო წარმოების ომამდელი დონე.

მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის მილიონობით მშრომელი ერთმანეთს ეჯიბრება. ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ვადამდე შესრულებისა და სახელმწიფო მატერიალური და ფულადი სახსრების მომჭირნეობით გამოყენებისათვის.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტს, რაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ თქვენს დასამტკიცებლად წარმოადგინა, დიდი მნიშვნელობა ენენა 1949 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულებისათვის, ბიუჯეტის წარმატებით შესრულება დიდი წვლილი იქნება საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების სტალინური გეგმის განხორციელების საქმეში.

ლენინ-სტალინის პარტიამ ახალი მძლავრი ეკონომიური აღმავლობის გზაზე გამოიყვანა ჩვენი ქვეყანა. საბჭოთა ხალხი თავდადებით იბრძვის ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შემდგომი აყვავებისა და ძლიერების განმტკიცებისათვის. ჩვენ კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ მივდივართ. ჩვენ წინ მიგვიძღვის გენიალური ბელადი და მასწავლებელი, ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვების ორგანიზატორი დიდი სტალინი! (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).

ამერიკელ ხელისუფალთა უხეში თვითნებობა

ნიუ-იორკი, 9 მარტი. (საკდსი). 4 მარტს ნიუ-იორკში უკანონოდ დაპატიმრეს საბჭოთა დელეგაციები, გაერთიანებული ეროვნის ორგანიზაციის სამდივნოს თანამშრომელი ვ. ა. გუბიჩევი.

4 მარტს საღამოს, დაახლოებით 9 საათზე, ნიუ-იორკის ერთ-ერთ ქუჩაში ვ. ა. გუბიჩევი შეიპყრო ექვსმა უცნობმა პიროვნებამ. მათ იგი ძალადატანებით, მიუხედავად მისი პროტესტებისა, ავტომობილებით მიიყვანეს გამოძიების ფედერალურ ბიუროში (ამერიკის დაზვერვა). მიუხედავად ამისა, რომ ვ. ა. გუბიჩევმა ბროტესტი განაცხადა და მიუთითა მისი დაპატიმრების უკანონობაზე, გამოძიების ფედერალურმა ბიუროს მან დაიყოვნებოდ მოუწყო ხანგრძლივი დაკითხვა, რომელიც 4 მარტის საღამოს 9 საათიდან 5 მარტის დილის 11 საათამდე გრძელდებოდა. დაკითხვის დროს მას აძალვებენენ ისეთ შეკითხვებს, რომელთა ამყარი მიზანი იყო მიეღოთ ამერიკის დაზვერვისათვის საინტერესო ცნობები საბჭოთა კავშირის შესახებ, როგორც, მაგალითად, სად აშენებდა იგი ომამდე და ომის დროს სამხედრო ნაგებობებს, რა იცის მან საყოველნერალოდ ბანაკებისა და „იძულებითი შრომის“ შესახებ სსრ კავშირში, მიაჩნია თუ არა შესაძლებლად სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის შეცვლა და ა. შ.

დაკითხვის შემდეგ გუბიჩევი მიიყვანეს სასამართლოში. სასამართლოში მან კვლავ განაცხადა, რომ მისი დაპატიმრება უკანონოა, მოითხოვა საბჭოთა პაღლინის წარმომადგენლის გამოძახება და მისდამი ამერიკელ ხელისუფალთა მიერ დაშვებული თვითნებობის გამო უარი თქვა პასუხი მიეცა შეკითხვებზე ამერიკელი ხელისუფალნი აძულებენ გაბედილი გადაეყოთ საქმის გარჩევა სასამართლოში.

სასამართლოს დარბაზიდან იგი ხელბორკილებით მიიყვანეს სახელმწიფო საპყრობილეში, სადაც ამჟამადაც იმყოფება.

ამერიკელ ხელისუფალთა ამ უკანონო მოქმედების გამო საბჭოთა ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ა. ს. პანიუშკინმა საზელმწიფო მდივანს ბატონ ბერლეს ოფიციალურ ინფორმაციის ფორმით ორ ზეპირ ნოტაში, ორ ოფიციალურ ნოტაში, ერთ ოფიციალურ ბარათი, რომელშიც უარყოფილია გუბიჩევისდმი წაყენებული დიფამაციები, ბრალდება წაყენებული ბრალდება ბრალდებულ ბრალდებულ ბრალდებ ... ...